მერაბ ჯოსტავა

აზრები, გამონათქვამები, შეგონებანი



მერაბ კოსტავა

აზრები, გამონათქვამები, შეგონებანი

გამომცემლობა „ზენაარი“
თბილისი 2015

უაკ (UDC) 94(479.22.470)
კ-786

მე-2 შესწორებული გამოცემა დამატებებით

წიგნი გამოდის მერაბ კოსტავას
მემორიალური სახლ-მუზეუმის ხარჯებით

შემდგენელ-რედაქტორი **რუსუდან თორღვაშვილი**
გამოცემის რედაქტორი **ზურაბ ქობალია**

მხატვარი **გია ჩიქვანაია**

© მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი
© „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1.
ტელ.: 599 343 727; (032) 298 48 07.
ელ-ფოსტა: zurkob@gmail.com

ISBN 978-9941-9440-4-8



* * *

უფალო ღირს მყავ, ჩემი ერისთვის
არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს,
აქ გამოვლილი სატანჯველისთვის,
იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ.

* * *

წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო.
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო.

* * *

სარწმუნოების, მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და არსებობის შესანარჩუნებელი ბრძოლისათვის თუკი შეიძლება რომელიმე ერს „დიდი“ ეწოდოს, უპირველეს ყოვლისა – ქართველობას. არცერთ მიწას არ განუცდია ასეთი დაწოლა. კავკასიონის მთების საგაზაფხულო წყალდიდობაც კი ვერ შეედრება აქ დანთხეული სისხლის მდინარეებს, რომელთა ავბედით კალაპოტს განუწყვეტლივ აღავსებდნენ მის მყინვარებზე არანაკლებ მარადიული ომები. განუზომლად დიდია იმ პრინციპების ღირებულება, რისთვისაც საქართველომ ეს სისხლი გაიღო.

* * *

მაშ ისევ ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ მოვუწოდოთ ერთიან საქართველოს, თორემ, უღმერთოების მესვეურებს, დიდი ილია რომ არ დაინდეს, არც საქართველოს ხელყოფაზე აუკანკალდებათ ხელი.

* * *

ენა იყო და მუდამ იქნება ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო, ერის სულიერი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მასულდგმულებელი.

* * *

თუ როდესმე რამეს ვუხსნივართ, ისევ სიყვარულის ძალას ვუხსნივართ, და მომავალშიც იგი იქნება ჩვენი სიმაგრე. დასაბამისეულია იგი და მერმისიც მისი იქნება.

* * *

სულის უკვდავების იდეა იყო და მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედურ იდეად.

* * *

თუ კოსმოსისოდენა გავხდები, ერთდროულად ყველგან მყოფი ვიქნები, მაშინ დრო შეწყვეტს ჩემთვის არსებობას, რადგან ერთდროულად ყველგან ყოფნისა და ყოვლისაღმვსებისათვის იგი აღარ არსებობს. აღარ იარსებებს არც სივრცე, რადგან იგი ჩემს შიგნით მოექცევა. სივრცეს კი მხოლოდ იმით გრძნობ, შენს გარეთ რომ იმყოფება იგი. მაშინ კი ვიღამ სთქვას შენი გარდაცვალება, რადგან თუ სივრცეებმა დაგიბინადრეს, ყოველი ჟამიერი გაქრება შენთვის და უკვდავების ბინადრად გადაიქცევი.

* * *

მოყვასისა და ერის მსახურებად აღგვმართე და ნურც მიგვატოვებ განსაცდელში ქრისტე მაცხოვარო.

* * *

იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ჯარის ჩამოყალიბება და მათში ქართული ენის ფუნქციონირება აშკარად დაანახებს ქართველობას, თუ რა ურყევი და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ გაგებასა და ეროვნულ არმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი, რომ თითქოს საქართველოს ურუსეთოდ ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. დიახაც, შეუძლია და, ვერც სპარსეთი და თურქეთი დააკლებს რაიმეს, თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა გამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის გამკვიდრება კი სხვა ყველაფერთან ერთად ეროვნული არმიისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს.

* * *

ჩვენ ღრმად განვიცდით უდანაშაულო ადამიანების სიკვდილს. მრავალტანჯულ ქართულ მიწაზე კიდევ ერთხელ დაიღვარა ქართველ პარტიოტთა სისხლი, კიდევ ერთხელ დარწმუნდა მტერი და მოყვარე ქართული სულის უკვდვეაბაში, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქართველი ერი ღირსია თავისუფლებისა.

* * *

საქართველოში მცხოვრებმა სისხლის სამართლის დამნაშავემ ქართველმაც და არაქართველმაც მხოლოდ საქართველოში უნდა მოიხადოს სასჯელი. ჩვენ ვიბრძოდით და მუდამ ვიბრძო-

ლებთ პატიმრების უფლებებისათვის, პატიმრობის ადგილებში მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

* * *

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკალური კულტურის აღორძინება დიდად არის დამოკიდებული სწორ აღზრდაზე. ასეთი აღზრდა კი გულისხმობს აღსაზრდელთათვის როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო მუსიკალური კულტურის შედევრების დროულ მიწოდებას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საშურია, შემთავაზებელს გააჩნდეს სათანადო ესთეტიკური ალღო. მუდამ უნდა გვახსოვდფეს დიდი გოეთეს ბრძნული შეგონება, რომ მშვენიერების შეგრძნების გამომუშავება ადამიანებში მხოლოდ მშვენიერი საგნებისა და მაგალითების მეოხებით უნდა მოხდეს.

* * *

საქართველო რომ უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა, დღესავით ნათელია ყველა იმათთვის, ვისაც სმენად ყურნი ასხია და მშვენიერების მიუკერძოებელი შეფასება ძალუძს. მონოდიური მუსიკის გარემოცვაში აღმოცენებული მისი საგუნდო მრავალხმიანობა მის ლოკალურ წარმოშობაზე და მიმდებარე ქვეყნების ზეგავლენისაგან ხელშეუხებლობაზე მიგვანიშნებს. მართლაც ერთხმიანი იყო არა მარტო მუსლიმანი მეზობლების, არამედ თვით ქრისტიანული პალესტინის, სირიისა და ბიზანტიის საგალობლები და სიმღერები. ამიტომაც არის ესოდენ განსაცვიფრებელი ქართული მუსიკის განუმეორებელი ორიგინალობა. ქართული მუსიკალური ენის თვითმყოფადობა და მისი მრავალხმიანობის წარმოშობა არანაკლებ იდუმალია, ვიდრე იოანე-ზოსიმეს მიერ მინიშნებული ის საიდუმლოება, ქართული ენის წიაღში რომ არის დამარხული. ორთავე ესენი

ერის სულის ერთიანი მეტყველი ენის სხვადასხვა გამოვლინებებია. მომავალში ამ საიდუმლოთა გასაღები იმ ღრმა სულიერ იმპულსებში უნდა ვეძიოთ, რომლებთანაც უმჭიდროვესადაა დაკავშირებული ხალხთა წარმოშობისა და მიგრაციის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

* * *

„გალობა არის ხმა ანგელოსთადმი შემსგავსებული“. დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი“ რომ ფერწერაში წარმოიდგინო, აღმდგარი ქრისტეს საფლავიდან ყინწვისის ანგელოზის გონების წამღებ ხატებას დაინახავდი.

* * *

იშვიათად შეხვდება კაცი ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ისეთ მრავალფეროვნებას სიმღერებისას, როგორსაც საქართველოში. კილოთა ერთიანი, მტკიცე ბალავერის მიუხედავად თითოეული კუთხის სიმღერა თავისი ხასიათითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. ასეთი სახესხვაობა თვით ევროპის ცალკეული ქვეყნების სიმღერებს შორისაც კი არ მოიპოვება.

* * *

თანამედროვე ქართულ კომპოზიციაში თვითმყოფადობის მისაღწევად ორი ძირითადი გეზი გვესახება. პირველი: მთლიანი განთავისუფლება უცხოური ზეგავლენისაგან, რაც ნიკო სულხანიშვილს ეოცნებებოდა, და ქართულ სიმღერა-საგალობლებზე დაყრდნობით სავსებით ორიგინალური ჟანრებისა და ფორმების შექმნა; მეორე და, ჩემის აზრით, უფრო მნიშვნელოვანი კი გახლავთ, ისე ღრმად და მრავალმხრივად აითვისო მსოფლიო მუსიკალური კულტურის მთელი მონაპოვარი, რომ წარმმართველისა

და გზის გამკაფავის სადავეები თავად იპყრა ხელთ ისე, ვით გერმანიამ გამოსტაცა ოდესღაც პირველობა იტალიას, მისივე მუსიკის ათვისებითა და დაძლევით. ამგვარი სადავეების ფლობა ნამდვილად ხელეწიფება, მომავალში, მუსიკალურ ქართველ ერს.

* * *

ბუნებით ქრისტეანული, ღვთის განკაცებისა და ადამიანის განღმრთობის რწმენასა და იდეაზე დაფუძნებული ქართული კულტურა სოციალურ ურთიერთობებში მაღალი ეთნოსის შემომტანი და ღმრთივ-მშვენიერ ფორმათა წარმომჩენი იყო ნიადაგ. ერთი ღმერთის მქადაგებელი და სამების ერთცისკროვნების უარმყოფელი მუსლიმანური სამყარო, პირიქით დაუშვებლად მიიჩნევდა ადამიანში ღვთაებრივი საწყისის მოქმედებას და ქალთა სქესისადმი თავისი ბარბაროსული შეხედულებით გააფთრებული ებრძოდა მარადქალურ საწყისს, რომელიც ქართული და, საერთოდ, ევროპული კულტურის ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

* * *

გარდასულ ჟამთა მოვლენები, ისტორიის წარმმართველ ინდივიდუალობათა ნებელობითი აქტები მხოლოდ ღრმა წიაღსვლის შემდგომ თუ გვამცნობენ სხვადასხვა ეპოქის სულიერ დონეებს. მათზე უფრო უშუალოდ ხელოვნების ქმნილებები გვესაუბრებიან. კაცობრიობის სულის ჭეშმარიტ მემატიანეებად სწორედ ხელოვნების დიდოსტატები გვევლინებიან, მათ რიგს მუსიკის კორიფეებიც უნდა მივაკუთვნოთ. დიდი კომპოზიტორები კოსმიური ჰარმონიის იმპულსებივით ტვიფრავენ ფსიქეს და განაპირობებენ მისი გრადაციის პროცესს. ფსიქეს ისტორიული განვითარების ამ სტადიებს კი თანამედროვე სულის ფოკუსში მხოლოდ დიდი შემსრულებელი თუ უყრის თავს. იგი

როდი გვთავაზობს წარსულის განწყობილებას კომპოზიტორის ხასიათში, ვითარცა დროის ფენომენში ჩამოსხმულსა და სტაბილიზებულს, არამედ ამ ხასიათის მიღმა მდებარე ტრანსცენდენტულ მარცვალს – შემოქმედებითი საწყისების თავანკარას, ჟამისა და სივრცის კიდეგან მდგარსა და მარადიულს. სწორედ რომ დიდი პიანისტი შეიძლება იყოს კომპოზიტორთა და მსმენელთა შორის ინტიმური ძაფების გზნებით გამბმელი და იმ მუზის განმცხადებელი, კომპოზიტორს რომ შესჩენია მფარველ გენიად. გარდასახვის ასეთი მაგიური ოპერაცია შემსრულებელთა მხოლოდ რჩეულ ნაწილს ხელეწიფება.

* * *

გადამწყვეტი იერიში უნდა მივიტანოთ ქალაქის მუსიკალურ ფოლკლორში თემურ ლენგისა და შაჰ-აბასის ნაოხრალის იავარსაყოფად. საამისო ფარი და მახვილი კი მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულებებში ქართული სიმღერა-გალობის საყოველთაო სწავლების ფართო დანერგვაა. ეს ამბავი რამდენადმე მუსიკალური გემოვნების არანაკლებ შემრყვნელის, ჯაზური ესტრადის პოზიციათა შერყევაშიც დაგვეხმარება, ჯაზური ესტრადისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა აფრიკული კანიბალიზმისა და პორნოგრაფიის გამოხატულება მუსიკაში, მორფინისტებისა და სექსუალური მანიაკების შემომკრები. ტაბაკონას მთიდან შუაგულ ქალაქში გადმოხვეწილი როკაპების ამ კრებულს, ინკვიზიციის კოცონთა ნაცვლად, ყოველივე განწმენდილი და ვაჟკაცური უნდა შევაგებოთ, რაც კი ოდესმე ჩვენს ერს შეუქმნია.

* * *

საგანგებო მომენტებში თბილისის საოპერო თეატრის საშემსრულებლო კოლექტივს არაერთგზის დაუმტკიცებია, რომ ძალთა სათანადო მობილიზების შემთხვევაში მას ძალუძს მაღალ

დონეზე წარმოადგინოს თვით ურთულესი სპექტაკლები (ასეთი იყო თუგინდ ვედეკინდის მიერ დადგმული „ლოენგრინი“), მაგრამ ძალუძს ჩვენს თეატრს ასეთ დონეზე სპექტაკლის ხანგრძლივად შენარჩუნება? საუბედუროდ, არა.

* * *

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკალურ კოლექტივებს შორის ყველაზე დიდი დატვირთვა ოპერის თანამშრომლებს აკისრიათ. ყოველდღიური რეპეტიციების გარდა გუნდისა და ორკესტრის წევრებს თითქმის დღენიადაგ უწევთ სპექტაკლებზე გამოსვლა, რაც კაპელისა და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დატვირთვას ორჯერ თუ სამჯერ აღემატება. სამართლიანობა მოითხოვს, საოპერო თეატრის მუსიკოსებს ყველაზე მაღალი ხელფასები დაენიშნოს და თუ სხვა მუსიკალური კოლექტივების ხელფასებს გაზრდიან, შესაბამისად უნდა ასწიონ საოპერო კოლექტივის შრომითი ანაზღაურების დონეც, რათა არ მოხდეს უმართებულო გათანაბრება.

* * *

ხემიანი საკრავები თავიანთი ფორმითა და შინაარსით ადამიანის, ვითარცა მიკროკოსმოსის ჭეშმარიტ ხატს, ანუ იმაგინაციას წარმოადგენენ. მათი ხატოვანი კორპუსები ადამიანის ტანის ასოციაციას ჰბადებდნენ კიდურების გარეშე. მათი მრავალნაკვთიანი ფორმები მხატვრის მიერ ჩამოქნილს ჰგვანან უფრო, ვიდრე კონსტრუქტორის განსჯითი აზროვნების ნამოქმედარს. ხემიან საკრავთა თავი კი, სიმთა სამაგრი მოქლონებით, თავისებური სიმბოლოა ადამიანის აზროვნებისა, რომელიც თავად არის სამაგრი და მარეგულირებელი გრძნობათა და ლტოლვათა ქაოსისა.

* * *

მუსიკალური კულტურის უმაღლეს მწვერვალებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც საანსამბლო მუსიკა საფორტეპიანო მუსიკაზე ხშირად იჟღერებს.

* * *

ჩვენში ერთობ საშუროა შეიქმნას რამოდენიმე საინსტრუმენტო-სამუსიკო სკოლა, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები ორ ან სამ ინსტრუმენტს აითვისებენ. მათთვის აუცილებელი უნდა იყოს თითო ხემიანი და სასულე საკრავის ფლობა და ამასთან ფორტეპიანოსი, როგორც სავალდებულო საკრავისა. თვითმიზანს მარტოოდენ ვირტუოზ-შემსრულებელთა მომზადება კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ კომპოზიტორების, დირიჟორების, ანსამბლებისა და ორკესტრის სრულფასოვანი წევრების აღზრდაც. გათვალისწინებული უნდა იქნას წარსულის პრაქტიკა, უმეტეს შემთხვევაში მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორები ხომ რამდენიმე საკრავს ფლობდნენ (ჰენდელი, ბახი, ჰაიდნი, მოცარტი, შუბერტი, სიბელიუსი და ა. შ.). ამიტომ აღზრდის პროცესში, იდეალად მათი გზა უნდა დავისახოთ, ბავშვი თავიდანვე უნდა ჩასწვდეს ტემბრთა მრავალფეროვნების იმ საიდუმლოებას, ხემიან და სასულე საკრავებს რომ გააჩნიათ. მან სიმფონიური მუსიკის ხმოვანება უნდა გაიშინაგანოს. ჩვენში ერთიც რომ იშვას ისეთი მუსიკოსი, რომელიც ერთდროულად გენიალური კომპოზიტორი და დირიჟორი იქნება, ჩვენი მუსიკალური კულტურის დონე წარმოუდგენლად გაიზრდება (ასეთი უნივერსალურები იყვნენ თავის დროზე რ.ვაგნერი, ჰ.ბერლიოზი, რ.შტრაუსი, გ.მალლერი, ი.სტრავინსკი). ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია, აღმზრდელობითი პროცესის იმგვარად წარმართვა, ხელს რომ შეუწყობს ქვეცნობიერების წიაღში შთამალული ნიჭის სწორ აღმოცენებას.

* * *

ხელოვანი არც უპოვარი უნდა იყოს, არც თუ ძალზე მდიდარი, – პლატონის ეს ყველა დროისათვის ვარგისი აზრი შემდეგ გოეთემაც გაიმეორა ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ზედმეტი სიმდიდრე მართლაც ამძიმებს და აზარმაცებს ხელოვანს, რამდენადმე ადუნებს მის სულიერ ენერგიას, ხოლო სიღარიბე კი უსპობს ხელოვნებისათვის აუცილებელი საგნების შეძენის შესაძლებლობას და, ლუკმა-პურისათვის საშოვარზე გასულს, ართმევს სრულქმნისათვის აუცილებელ დროს.

* * *

როგორც გამოცდილი სპასალარი არ მისდევს საბრძოლო ტაქტიკის დოგმებს და, სიტუაციის შესაბამისად, ერთ წამში ცვლის წინასწარ დადგენილ გეგმებს, ასევე სოლისტიც უნდა ენდობოდეს იშვიათი წუთების შინაგან გამოძახილს, მსმენელთა მომნუსხველი ღვთაებრივი პარადოქსების მშობელს. წინასწარგანსაზღვრულობა, როგორც რაციოს ელემენტი, სქემის გარანტიაა მხოლოდ. სწრაფვა, ელვისებური გადაწყვეტილების გაბედული განხორციელებაა მხატვრული თავისუფლებისა და საშემსრულებლო ეთოსის საფუძველი.

* * *

თუ ქართული საგალობელი შინაგანი სიმშვიდითა და ღმრთივმშვენიერი, დაწმენდილი ხმოვანებით ნათელი აპოლონური იმპულსების მატარებელია, ხალხური სიმღერები უმთავრესად აღსავსეა დიონისური ენერგიითა და ქშატრიული ძალმოსილებით. სწორედ ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს მიესადაგება სხეულის მოძრაობასა და სიმღერებზე პლატონისაგან სწავლა-თქმული: „რომ ვაჟკაც ადამიანებს მშვენიერი ცეკ-

ვები და სიმღერები გააჩნიათ, ხოლო მხდალებს – შემაზრზენი“.

მუსიკა მთლიანად სმენის საქმეა და მით უფრო ღირსეულია მსმენელი, რაც უფრო დიდის თავდავიწყებით ეძლევა ბგერათა მდინარებას.

დაე, ჩვენმა თანამოძმეებმა ღრმად აღიბეჭდონ ძველი ბერძნების ბრძნული მოწოდება: „კარგად აღზრდილი ადამიანი ჩინებული მოცეკვავე და მომღერალი უნდა იყოს“.

* * *

სწორი ორიენტაციის აღება გონიერებასთან ერთად გამბედაობასაც მოითხოვს, რადგან სწორხაზოვნებისა და ფანტაზიის ყრუ კედელი სწორედ იქ აღიმართება, სადაც ერთადერთი მართებულად მიჩნეული იდეოლოგიის სოციალურ ყოფაში რეალიზებას იწყებენ, როცა იდეოლოგიას, რაგინდ ჰუმანურიც არ უნდა იყოს იგი, ადამიანზე მეტად იყვარებენ, როცა ავიწყდებათ, რომ ყველაფერი ამქვეყნად თვით ცა და სამყარო და, რაღა თქმა უნდა, იდეებიც და იდეოლოგებიც ადამიანისათვის უქმნია ღმერთს და არა ადამიანი მათთვის.

* * *

ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, რომ უპირველეს ყოვლისა, იგია ადამიანთმსახურება, მოყვასთადმი უსასყიდლო სიყვარული, დაუშრეტელი მორალური ფანტაზიის საფუძველი და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება. ამიტომაა იგი თანამედროვე გაგებით მაღალი ჰუმანისტური კულტურის ერთადერთი მასაზრდოებელი წყარო. ნურავის გაუკვირდება, თუკი მეტ ქრისტიანად ჩაითვლება მუსულმანური თუ ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელი, გინდაც ათეისტი, რომელიც ადამიანთმსახურებაში ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმდევარზე მაღლა დგას. ეს ღაღადისი სახარებისეულია და

ვისაც სმენად ყურნი ასხია, მას არა მარტო წაუკითხავს, არამედ შეუგრძვნია კიდეც, თუ რაგვარ სწერენ სიყვარულზე მოციქულნი. ამაოა ღვთისმსახურება ადამიანთმსახურების გარეშე, – ერთხმად აღიარებდნენ ისინი – და მოყვასთა თავისთა დარად შემყვარებელი და მათთვის თავდადებული კაცი უკვე ქრისტიანია, ქრისტეს სახელიც რომ არ ჰქონდეს გაგონილი.

* * *

ინტერნაციონალური სულისკვეთების ამაღლებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ერთენოვანების შემოღება და მშობლიური ენის უგულველყოფა როდი იწვევს. ზეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის საფუძველი არა ენის, არამედ აზრის ფენომენში უნდა ვეძიოთ, რადგან აზრია ჭეშმარიტად ზეროვნული ბუნებისა. ნებისმიერ ენაზე გამოხატვისას მყარი და უცვლელი არც მარტოოდენ აზრია ზეროვნულობის საყრდენი. ისე ვით ერთია ნებისმიერი ეროვნების ადამიანისათვის სამყარო სიზმრებისა, ასევე ზეროვნულია ენა სიმბოლიკისა მითოლოგიური ეპოქიდან დღემდე, რისთვისაც ღაღადებს სიმბოლური ანბანის, სიმბოლურ-ხატოვანი ნიშნების გარკვეული იდენტურობა სხვადასხვა ხალხებთან. ზეროვნულია ენა მუსიკისა და მათემატიკისა, მშვენიერება სახვითობისა და ფერწერისა ხელოვნებაში. არის ამ ქვეყნად რაიმე სიქველეზე ან ამაღლებულ სიყვარულზე ზეროვნული, რომლის წინაშე ყოვლად უსუსურია გამთიშველი ძალა ნაციონალური, რასსობრივი და წოდებრივი ანტაგონიზმისა? ზეროვნულია ლაჟვარდოვნება ცისა და ელვარე ვარსკვლავეთი, თავად სიკვდილი და უკვდავება სულეთში. აი, სად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტი საფუძველი ინტერნაციონალურობისა და კოსმიური მოქალაქეობის და არა ერთენოვანების დანერგვის ცდაში.

* * *

მშობლები თუ გიყვარს არცაა გასაკვირი, რადგან ეს სიყვარული შენს მიმართ გაწეული ამაგის სამაგიეროდაც შეიძლება ჩაითვალოს. აქ თვით უანგარობის შემთხვევაშიც შეიძლება ეჭვის შეტანა, რასაც ვერ ვიტყვით მშობლის ჩვენს მიმართ სიყვარულზე, რომელიც იმდენად უანგარო და ყოვლისმომცველია, რომ ბუნების მიერ დაკანონებულად გვეჩვენება იგი და არც კი ვფიქრობთ მადლიერების გრძნობაზე. მშობლების მიმართ ჩვენს სიყვარულზე, ისევე არ ვფიქრობთ, როგორც მზის მიმართ სიყვარულზე, მაგრამ მზემ ერთი-ორი დღითაც თუ დააგვიანა გამოჩენა, უმალვე ნოსტალგია შეგვიპყრობს. მშობლიური ალერსის მოკლებაც დაახლოებით იმგვარსავე განცდას იწვევს. მოხუცი მშობლებისადმი ყურადღებას ხშირად პატივისცემისა და მოვალეობის გრძნობას უწოდებენ, უანგარო სიყვარულითაც რომ იყოს იგი გამოწვეული, რადგან ადამიანებმა ან იციან, ან ქვეცნობიერად გრძნობენ შემდეგს: სიყვარულის უმაღლესი სკოლა უფრო სისხლით არანათესავ თანატოლთა ურთიერთობაა, ურთიერთისგან რომ არაფერს გამოელიან. შურისა და მეტოქეობის მწიკვლიც თანატოლთა შორის იშვის, რასაც ურთიერთისადმი კეთილგანწყობა და პირუთვნელობის გრძნობა უნდა დაუპირისპირდეს. სწორედ ზადისა და ნაკლოვანებათა დაძლევის ამგვარ გზაზე იშვის ჭეშმარიტი სიყვარული.

თანასწორთა შორის თუ ვერ დავინახეთ მაღალი ღირსებანი, ხორციელთა სულიერი მშვენიერება თუ ვერ დავაფასეთ, რანაირად უნდა ავწვდეთ ჩვენზე მაღალ სულიერ არსებათა ღირსებებს, როგორ უნდა ვუსწოროთ თვალი უხორცოთა სულიერ ელვარებას? ამაოდ დავშვრებით ზნეობათა მათთა რაობაში გარკვევისას. ამაოდ ვეცდებით „ზესთ მწყობრთა მწყობრისად შერთვას“. მოყვასის სიყვარული, თუნდაც იმიტომ არის ღვთის სიყვარულის საწინდარი, რომ თანასწორთა შორის დამყარე-

ბულმა ჰარმონიამ უნდა აღმოაცენოს მომავალში ახალი სულიერი იერარქია, რომელშიც საბოლოოდ აირეკლება უზენაესი შემოქმედის უმთავრესი თვისება – თავისუფლება.

კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვარული. როგორც სიყვარულის სულები სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთიანად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო.

***

შენ თუნდაც უარყავი გონებით ადამიანის სულის უკვდავება, მაგრამ თუ მოყვასისათვის თავის გაწირვა ძალგიძს, თუკი სიმხდალის ან სხვა სამარცხვინო საქციელის გამოვლინებას, გინდაც რაიმე ბოროტმოქმედების ჩადენას ისევ და ისევ სიკვდილი გირჩევნია, უფრო ახლოს დგახარ სულის მარადიულობის, სულის უკვდავების გაგებასთან, ვიდრე ის, ვინც ამ იდეას გრძნობით აღიარებს, მაგრამ არ ძალუძს ზემოთქმულის განხორციელება.

***

საკუთარი თავის უფლად, ანუ ღმერთად რომ იქცე, უნდა გახდე უშიშარი, ვითარცა უხორცო, ვითარცა ღმერთი. ამისათვის სულის უკვდავება იმდენად უნდა იწამო, რომ შენი მოქმედების ამოსავალ წერტილად აქციო იგი. უშიშარნი კი როგორც არაერთგზის გვითქვამს, მხოლოდ სიკვდილის შიშის დაძლევის გზაზე ხდებიან და, რომ ეს ამავე დროს მორალური განვითარების გზაც არის.

* * *

უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.

* * *

ინტელიგენცია არცერთ წოდებას არ ეკუთვნის. ინტელიგენტობა ადამიანისა განიზომება მისი სულიერი თვისებებით, თუ რამდენადაა ნაზიარები ინტელექტუალურ სფეროს, რამდენად თავისუფალია და კეთილშობილი აზროვნებასა და ქცევებში.

ინტელიგენტი გახლდათ ვაიმარის კურფიუნსტის საიდუმლო მრჩეველი გოეთე, ინგლისის კანცლერი თომას მორი, ბერი სულხან-საბა ორბელიანი და მეწაღე იაკობ ბიომე, პოეტი ყაჩაღი ფრანსუა ვიონი და პოეტი პარტიზანი დენის დავიდოვი, კანონმდებელი ათენისა სოლომონი და კუზიანი მონა ეზოპე, ნახევარი სამყაროს მბრძანებელი ალექსანდრე მაკედონელი და ერთადერთი ცარიელი კასრის მფლობელი დიოგენე. გრაფი ტოლსტოი და გამოსყიდული მონა ტარას შევჩენკო, თავადი ილია ჭავჭავაძე და მილიონერი დავით სარაჯიშვილი, გლეხები პავლე აკობია და ალექსანდრე მესხია. დიახ, სწორედ ინტელიგენტობა შლის ადამიანებში წოდებრივ სხვაობას და უკლასობისაკენ მიჰყავს საზოგადოება.

* * *

უტეხი რწმენისა და სულიერი სიმტკიცით აღჭურვილი ადამიანები თარგმნიდნენ ოდითგან ოთხთავს, მოციქულთა საქმეს, ეპისტოლეებსა და ფსალმუნებს, და საღმრთო პოეზიისა და სიყვარულის მადლით ანთებული ენის სფეროში იმგვარ სრულქმნილებას აღწევდნენ, ორიგინალურ ლიტერატურასაც რომ იშვიათად ღირსებია. ამავე დონეზე ქმნიდნენ ისინი შესანიშნავ აგიოგრაფიულ, ისტორიულ და თეოლოგიურ თხზულებებსაც.

მათ მიერ მაქსიმუმის მაქსიმალურად განცდამ, მაქსიმალურად დახვეწა ფორმა და გამოსახვის საშუალებანი და რუსთაველის ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა მოამზადა.

***

ჭეშმარიტი მწერლობა მარტოოდენ ღვთის სამსახური როდია, არამედ ხალხისაც, ამიტომ მწერალი ვერ დარჩება პოლიტიკის გარეშე, რადგან ხალხის კეთილდღეობა ღრმადაა დაკავშირებული ერის ნორმალურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან. ცხოვრებასთან, რომელიც მხოლოდ მისი ბუნებიდან, მისივე ხასიათიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს კი ერის თავისუფლებას, მის ყოფაში სხვის ჩაურევლობას ჰგულისხმობს.

***

გამოეფოფრება ცეცხლისფრთიანი გენია მწერლისა მომავალს, სწვავს, ეკიდება ყოველს, ვისაც გული პატრუქად უქცევია, მაგრამ გენიოსობისათვის როდი კმარა მარტოოდენ კარგი მწერლობა, თავად პიროვნება უნდა იყოს გენიალური, სრულქმნილი საკრავივით მრავალძალი, მახვილის, ლახვრისა თუ მშვილდის ფარდი სიჩაუქით დამცემი.

***

გოლგოთის მისტერია, ეს არის კოსმიური მაგალითი ქრისტეს, როგორც უზენაესი ხელოვანის დამოკიდებულებისა თავისი ქმნილებისადმი, ადამიანისადმი. მისი სიყვარული კაცთადმი, სიკვდილისა და აღდგომის აქტში, თავის მიერ შექმნილი ადამიანის უკვდავყოფაში განხორციელდა.

* * *

ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს: „დიდი არისო აქილევს, მაგრამ მისი მეხოტბე ჰომეროს უფრო მეტი“. ჩვენ კი ვიტყოდით: რაც დავით აღმაშენებელმა მოიმოქმედა ჯვრითა და მახვილით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისათვის თავის დროზე, იმასვე მიელტვოდა მისი მეხოტბე კონსტანტინე გამსახურდია ჩვენს შავბნელ ტრაგიკულ დროში. დავიწყების საუფლოს გამოჰგლიჯა მან საქართველოს წარსული, მაშინ როდესაც ყოველნაირად ცდილობენ პატარა ეროვნებათა ისტორიის მიჩქმალვას, ხალხს დაუბრუნა უკვდავებასთან ნაზიარები მისი გმირები.

* * *

შესაქმის პირველივე თავები გვამცნობენ, რომ ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი ხატად თავისად. თუკი ადამიანი ხატია ღვთისა, მასში უმთავრესი ღირსება შესაბამისად იგია, რაც უმთავრესია ღვთაებაში, ღმერთში კი უპირველესია სიყვარული, თავისუფლება და აქტიური შემოქმედებითი უნარი. მაშასადამე მის ხატში, ადამიანში ეს იმპულსები უნდა მივიჩნიოთ უმთავრესად.

* * *

ჭეშმარიტი ოპტიმიზმის ერთადერთი რეალური საწინდარი მხოლოდ სულის უკვდავების იდეაა.

მხოლოდ სულის უკვდავების რეალობა ანიჭებს ადამიანს და მის დედამიწაზე ცხოვრებას ჭეშმარიტ ღირებულებას. მხოლოდ მას ძალუძს ადამიანისთვის ძვირფასი ღირებულებების გამარადიულობა. ამ იდეის დამკვიდრებით ენიჭება ადამიანს მოყვასისადმი მართებული დამოკიდებულების შესაძლებლობა, რადგან სხვა ადამიანებიც თავიანთი ნამდვილი განზომილებით, თავიანთი უკვდავი ბუნებით წარმოჩინდებიან მის წინაშე.

სულის უკვდავების იდეა, ასევე სურვილი შექმნილის უკვდავყოფისა მხოლოდ უკვდავ სულში შეიძლება იშვას.

* * *

ქართულმა სკოლამ უნდა დაამკვიდროს სწორი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, უზრუნველჰყოს სკოლადამთავრებულთა მიერ ერთიანი ქართულის ფლობა. მხოლოდ ამის შემდეგ შემოვა და დამკვიდრდება ქართული ენა თავისი ჭეშმარიტი ღირსებებით ჩვენს წარმოდგენაში, ჩვენი ემოციური და გონებრივი ცხოვრების საუფლოში.

* * *

მართებულად შერჩეულმა სასკოლო პროგრამამ და სწავლების გაუმჯობესებულმა მეთოდიკამ უნდა შეასრულოს გადაუდებელი საქმე, რაიც პრაქტიკულად ერთიან ქართულს მთელი ქართველი ერის საკუთრებად აქცევს და სიკვდილს არ დაუთმობს ქართული ენის არც ერთ ნაწილს, არც ერთ ნაწევარს.

* * *

სწორედ ლიტერატურის მაღალი პოზიციებიდან შეძლო ილია ჭავჭავაძემ თავის მიმდევართა თანადგომით დაელაშქრა თვითმპყრობელობის, ერთი შეხედვით, მიუდგომელი სიმაგრეები, გამოეძალა იმპერიის მთავრობისათვის ქართული ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების, ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საზოგადოებისა და დაწესებულებების დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარა უცებ, ცენზურასა და შოვინისტურ მოხელეებთან შეხლა-შემოხლის გარეშე, მაგრამ მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გეორგიევსკის ტრაქტატის დაახლოებით ასი წლის თავზე, ილიას და მის თანამდგომთა მეოხებით, საქართველომ თუ პოლიტიკურს არა, ნაწილობრივ კულტურულ ავტონომიას მაინც მიაღწია.

* * *

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და წმინდა ილია მართალმა თავისი ურყევი რწმენით, მსოფლმხედველობითა და საქმით უთუოდ დაიმსახურა ეს წოდება, რადგან ჭეშმარიტ ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიჩნდა. მისი ცხოვრებისეული კრედო შემდეგმა სიტყვებმა გამოხატეს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

* * *

თავს გარდასახდენი იდუმალებითაა მოცული, მაგრამ ეგ როდი ნიშნავს გულხელდაკრეფილი დავხვდეთ მომავალს, ნიჩბებს ხელი ვუშვათ და დინებას მივენდოთ.

* * *

კმარა, წელებზე ფეხის დადგმით, თავის შენარჩუნებაზე ფიქრი. დროა, დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს. დაე, არწივის გაფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი – საქმედ!

* * *

ვის უნდა გააჩნდეს ბრწყინვალე ისტორიული მწერლობა და პოეზია, თუ არა უამრავ გმირთა და მოწამეთა სამშობლოს. განცვიფრებისა და აღფრთოვანების ამ ჭეშმარიტ კერას, სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და ისტორიულ სასწაულთა კლასიკურ ქვეყანას?

* * *

ქართველობა უნდა იქცეს დიდ მისაბაძ ერად, მსოფლიო კულტურის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მოთავედ, მაღა-

ლი იდეების, ფორმებისა და სისტემების შემქმნელად და მიმტანად მსოფლიო ხალხების წმინდა საკურთხეველზე. ამის გარანტიას იძლევა იმ ენერგიის მასშტაბები, იმ შინაგანი ცეცხლის ძალა, თავისი ფარული ისტორიული მისიის განხორციელებას რომ ახმარდა იგი.

***

დიდ ერად ქცევა როდი ნიშნავს ეთიკური ნორმების დარღვევას, როდი ნიშნავს გული გვეთქმოდეს სხვისი მიწისა და ქონებისათვის. ჩვენი ეროვნული ენერგია, თუნდაც ქვეცნობიერად, სხვათა კეთილდღეობისათვის მოგვიხმარია და ამიტომ დაუშვებელია ქართველმა ხალხმა თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს. ამგვარი ბედნიერება ქართველისათვის ბედნიერება არ იქნება, მაგრამ თავისი სანუკვარი მიზნის განხორციელებას იგი ეცდება და ყველას გზას დაულოცავს, ვინც თავისი ბედნიერებისა და ძლიერების სასახლეს სხვების დაუზიანებლად აღაშენებს.

***

პირველადი და უმთავრესი საკითხი, ესაა სამყაროსა და მარადისობისადმი ჩვენი მიმართება, რომელიც უსათუოდ უნდა დაეყრდნოს სულის უკვდავების იდეას. მარადისობა თუ მართლაც მარადისობაა, ამ სოფლად მას მხოლოდ ადამიანის უკვდავი სული შეესატყვისება და თავად მარადისობისა და სულის უკვდავების საკითხიც არასოდეს წარმოიქმნებოდა ადამიანის სული უკვდავი რომ იყოს, რადგან მხოლოდ უკვდავში შეიძლება იშვას მარადისობისა და უკვდავების შესატყვისი საკითხები.

***

ბუნების მარადიულ კანონებს მხოლოდ უკვდავი შემოქმედი შეიძლება ჰყავდეს.

* * *

სინდისი გააზრების აბსტრაქტული ობიექტი როდია, არამედ აქტიური, ქმედითი ცენტრიდანული ძალა, ტრანსფორმირებული სახით მძინარე მდგომარეობაშიც რომ გამოსცემს ექოს, მაგრამ თუ გაიღვიძა ვეღარაფერი შეაკავებს მის მფლობელ ადამიანს სიკეთისა და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე.

* * *

ჭეშმარიტი მიჯნური უმალ სიკვდილს, ამჯობინებს სატრფოს წინაშე ღირსებაშელახულად წარმოჩენას, რადგან სინდისშელახულ თავს ვერ შეჰკადრებს მას. ასე იქცევა სიყვარული სიწმინდის წყაროდ და სინდისის ცეცხლის სანთელ-საკმევლად. მიჯნურობის ღვთაებრიობას ხშირად პოეტური ინტუიცია გრძნობს ყველაზე მეტად. სიყვარულს მხდალიც კი ვაჟკაცად უქცევია, რომ არაფერი ვთქვათ მისი მიზეზით ჩადენილ იმ საოცარ საქმეებზე, რითაც აღსავსეა მსოფლიო ისტორია, რისთვისაც ეგოდენ მჭევრად მეტყველებენ მსოფლიო ლიტერატურის შედევრები.

* * *

მხოლოდ განსაკუთრებით წინ წასული ინდივიდუალობები ანვითარებდნენ მე-ცნობიერებასთან, ძლიერ აზროვნებით უნართან ერთად, მაღალ სპირიტუალურ უნარებსაც სულიერ სამყაროსთან კონტაქტის დასამყარებლად. დანარჩენებისათვის კი თავი გაიუჩინარა სულეთმა და მაღალი სულიერი არსებები დიდი ხანია, რაც აღარ ეცხადებოდნენ ადამიანებს, რამაც ათეიზმამდე მიიყვანა მრავალი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც რწმენის ამარა დარჩენა აღარ აკმაყოფილებდა, მაგრამ ცოდნის წიაღში ჯერ კიდევ ღრმად არ იყო შესული.

* * *

გელათის ტაძარი გრაალის ბარძიმის მოტივისადმია მიძღვნილი, წმიდა გრაალის საიდუმლოსთანაა დაკავშირებული, რაც მთელის სიმძაფრითაა გადმოცემული საკურთხევლის მოზაიკურ კომპოზიციაში, სადაც ბარძიმი პირდაპირ იესო-ემანუელის შუბლზეა გამოხატული. ეს კი უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიო ფრესკული ხელოვნების ისტორიაში.

* * *

რუსთაველმა ერთთავად ქრისტეს იმპულსით განმსჭვალული ნაწარმოები ისე რომ შეჰქმნა, ერთხელაც რომ არ უხსენებია ქრისტეს სახელი, კარგად იცოდა, რომ თუნდაც მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარი ქრისტიანული ღმერთისმსახურების მიმდევარზე მეტი ქრისტიანია, თუკი მოყვასის სიყვარულში აღემატება მას.

* * *

სიყვარულის ძალა ხომ სულის უკვდავების მიზეზთა მიზეზია, კაცობრიობისა და სამყაროს მთლიანობის საფუძველი. კაცობრიობის მორალური მზე უწოდა სიყვარულს რუდოლფ შტაინერმა და უფრო ზუსტი განსაზღვრა წარმოუდგენელია.

* * *

დასაბამიდანვე შემოქმედის მიზანს თავისუფალი ადამიანი წარმოადგენდა.

* * *

სულის უკვდავების იდეის გარეშე ნებისმიერი ინტერნაციონალური, თუ ეროვნული იდეა მოუმწიფებელი და არასიღრმისეულია, ანუ ყალბია და მავნე.

* * *

საკუთარი ერისადმი სულის უკვდავი ბუნების, ანუ ზეეროვნულობის პოზიციიდან მიდგომა ნიშნავს იმგვარი მარადიული ღირებებულებების დამკვიდრებას ერის ცხოვრებაში, რომელიც, ერთის მხრივ, გარანტიაა სხვა ეროვნებისადმი პატივისცემისა და ძმური დამოკიდებულებისა, მეორეს მხრივ კი, როგორც თავდაცვის უებარი საშუალება, იგი არ დაუშვებს თვისტომთა წინააღმდეგ ხელის უსამართლოდ აღმმართველთა ძალადობას და თვითნებობას.

* * *

ყოველ წუთს რომ ყველაფერი გვახსოვდეს, მეხსიერებას გამორთვის უნარი რომ არ გააჩნდეს, მაშინ მხოლოდ წარსულში ვიცხოვრებდით და აწმყოში ვეღარ ვიმოქმედებდით, ვეღარ ვიაქტიურებდით, მეხსიერებითი პროცესიდან ანალიტიკურ და სინთეზურ პროცესზე ვეღარ გადავრთავდით აზროვნებას. ვერც მარცხით გამოწვეული მწუხარების, ვერც წარმატებით მოპოვებული მხიარულების განცდას დავაღწევდით თავს, რაც ნებელობის სრულ მოდუნებას გამოიწვევდა, აწმყო წარსულით შემოიფარგლებოდა და აღარ იარსებებდა ჩვენთვის მომავალი, რამეთუ ხსოვნისაგან ვერდაღწევა თავისა წარსულში გაყინვისა და უმოქმედობის საწინდარია.

* * *

იმისგან დამოუკიდებლად, იქნება თუ არ იქნება გლობალური ომი, ტექნიკური გიგანტიზმის განუწყვეტელ ზრდასაც ხელეწიფება არანაკლები კატასტროფის გამოწვევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური გიგანტიზმია უმთავრესი მიზეზი ატმოსფეროში ჟანგბადის განუწყვეტელი კლებისა. მეცნიერებისთვის ამჟამად

კარგადაა ცნობილი ატმოსფეროს წარმოქმნის ისტორია, მისი ვულკანური წარმომავლობა. ვინაიდან ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, ჟანგბადის განუწყვეტელ კლებას შესაძლოა ვულკანების მასიური გაღვიძება მოჰყვეს, რაც მსოლფიო ომზე არანაკლებ მსხვერპლს გამოიწვევს.

* * *

ადამიანი უნდა ჰგავდეს გადმოპირქვავებისათვის ნიადაგ მზადმყოფ ჭურჭელს, მუდამ მზადმყოფს ახლისათვის ძველის დასათმობად, როგორც კი ამ ახლის ჭეშმარიტებასთან მეტ სიახლოვეს იწამებს იგი. საკუთარი მრწამსი ჭეშმარიტებას უნდა დაუქვემდებაროს მან და არა პირიქით, რათა შეეძლოს პავლე მოციქულივით თქმა: „მე-ს ნაცვლად ქრისტეა ჩემში“.

* * *

არა ცოდვების ჩადენის შიშით ამა სოფლისაგან გაქცევა და მოყვასისაგან განდგომის მცდელობა, არამედ ამა სოფლადვე მოყვასთა შორის სათნოებისა და სიყვარულის დამყარება და მე-ცნობიერების განვითარება, აი, დედამიწაზე ადამიანთა ცხოვრების ჭეშმარიტი დანიშნულება. პირველი მორალური ავტომატიზმის ცდუნებიდან მომდინარეობს, მეორე კი ჭეშმარიტი თავისუფლებისა და მორალური ფანტაზიის თანაარსია.

* * *

მცენარეულ საუფლოს, მინერალურ საუფლოსთან საერთო ფიზიკური სხეულის გარდა, ფორმადმქმნელი, სასიცოცხლო ანუ ეთერული სხეული გააჩნია და სახეობათა სრულქმნილებას სწორედ ეთერული სხეულის სრულქმნილება განაპირობებს; რომ ცხოველებს, ფიზიკური და ეთერული სხეულის გარდა ასტრალური სხეული აბადიათ, ვნებებს, ლტოლვებს და სურვილებს

რომ გამოხატავს და სამშვინველით აუნჯებს მათ; ხოლო ადამიანებს ყოველივე ამასთან ერთად მე გააჩნია, თვით შემეცნებისა და მსოფლშემეცნების მარეგულირებელ ცენტრს რომ წარმოადგენს.

* * *

ცხოველებისაგან განსხვავებით მხოლოდ მისი (ადამიანის – რედ.) თავის ტვინი არ წარმოადგენს ზურგის ტვინის უბრალო დანამატს, არამედ სფეროსებურად ადგას მას ზემოდან. ამიტომაც ძალუძს ადამიანს აზროვნება, მიღება ობიექტურ სამყაროში არსებული აზრებისა.

* * *

ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, რომ იგი უპირველეს ყოვლისა არის ადამიანთმსახურება, მოყვასისადმი უანგარო სიყვარული, დაუშრეტელი მორალური ფანტაზიის საფუძველი და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება, სწორედ ამიტომ არ ანიჭებს ლესსინგი უპირატესობას არც ერთ სხვა რელიგიას, თორემ თავად სახარებისეული მოძღვრება ისლამზე და სხვა მოძღვრებებზე მაღლა დგას არა მარტოოდენ სათნოების, ქველმოქმედების, მოყვასისადმი თავდადებისა და მორალური ფანტაზიის აპოლოგიით, არამედ იმითაც, რომ ადამიანს მონად არ მიიჩნევს იგი და მამა ღმერთის გარდა აღიარებს ძე ღმერთსა და სულიწმინდა ღმერთს, რაც ფარდია ადამიანის ღვთაებრიობის და ცნობიერების განუსაზღვრელი გრადაციის აღიარებისა.

* * *

შიში თუ გაგეკარა, პირში წყალს ჩაგიყენებს, ან მეტყველებას შენსას სიცრუისა და მლიქვნელობის ჭუჭყით შებილწავს, მაღალ ლიტერატურას ვინღა დაეძებს, ნაიძულევი სიჩუმის აბს ჩაგაყლა-

პებს. გულში ჩამარხული სიმართლის დროული გაცხადებისათვის თვით მაცხოვარი მოუწოდებდა და სიმართლისათვის დევნილთა სამკვიდრებლად ცათა სასუფეველს მიიჩნევდა.

* * *

კულტუროსანი ხალხების ენებს, როგორც ერთდროულად ხელთუქმნელ ძეგლებს და ცოცხალ, მარადიულ ცვალებად ორგანიზმებს, ხელოვნების მუზეუმთა ძვირფას ექსპონატებსა და ნებისმიერ ნაკრძალზე მეტად სჭირდება დაცვა. მშობლიური ენა, როგორც ერის სულიერი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის გამოხატულება, ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს, რომლის შელახვა არავის უნდა დავანებოთ.

* * *

სულის უკვდავების და ღვთის რწმენის იდეა ქართველი ერის ქვაკუთხედურ იდეად უნდა იქცეს. სწორედ უკვდავ სულს, კოსმოსამდე რომ ფართოვდება და ადამიანის სხეულშიც თავსდება, ძალუძს ჭეშმარიტების ნათელში საქართველოდან მთელი მსოფლიო და სამყარო დაგვანახოს, ხოლო სამყაროს და მსოფლიოს გადმოსახედიდან – საქართველო.

* * *

იშვიათად თუ შეხვდება კაცი ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ისეთ მრავალფეროვნებას სიმღერებისას, როგორც საქართველოში. ჰარმონიის ერთიანი, მტკიცე ბალავერის მიუხედავად, თითოეული კუთხის სიმღერა თავისი ხასიათითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქართლ-კახური ჰომოფონია, სვანური კომპლექსური ჰარმონია, გურულ-იმერული პოლიფონია, მუსიკალური აზროვნების სავსებით განსხვავებული მოვლენებია.

* * *

ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ყველა დიდი მაძიებელი მიაგავს იმ ძვირფას ჭურჭელს, რომელიც ნიადაგ მზად არის დაიცარიელოს თავი ჭეშმარიტების უფრო აღზევებულ სფეროებთან საზიარებლად.

* * *

მხოლოდ ჩვენს დაუდევრობას უნდა მიეწეროს, თუ არ წარმოვაჩენთ და ჩვენს კულტურულ ყოფაში შესაფერის ადგილს არ მივუჩენთ ყოველივე ღირსეულსა და მაღალმხატვრულს, რაც კი ოდესმე შექმნილა ან იქმნება ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

* * *

თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ[1] უთუოდ ჰფლობ მას სივრცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ უსპეტაკესო, კიდევ უფრო მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომეჭდონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი.

* * *

ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მეხსიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ. დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასახულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქ-

1 აქ ავტორი მიმართავს მტრედს. – (რედ.)

რ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰბადებს ახალ თვალს, თვალს-მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქცეული, რომელიც დაწვრილებით გამოწვლილავს მთელს შენს წარსულს, შენს ნამოქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა თუ ნააზრევს, ადამიანებისადმი მიმართებას, პირუთვნებლობის უქცეველი სასწორით ასწონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიანებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დროჟამისეულ კანონებში არეკლილი ბედისწერის წიგნისას.

* * *

ცნობიერება მიგაახლებს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება თავისუფლების ძალუმი ფრთებით გვაუნჯებს. ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუბიმის ექვსი ფრთა, ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა, და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, „რომელი ყველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენითა“. ეს შენ მოგვევლინე სულიწმინდის ხატად ელვარე ნიმბით მოსილი პატარა მტრედი, სხეულისმიერი საკნის წიაღში რომ აღგვინთებს ცნობიერების კანდელს და გვაზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინდარს.

* * *

ერის სუნთქვის ყუათი უნდა შეიგრძნო, ჯაჭვის პერანგად მოირგო ტანზე მისი სიყვარული. კარგა ხანს უნდა ატარო რამდენადმე მაიზოლირებელი ეს გრილი ლითონი, სანამ სიყვარულის ახალი ტალღა არ შემოგეგზნება და გარდამეტებული მხურვალებით არ შემოგადნობს ტანზე ამ ჯაჭვის პერანგს. მაგ-

რამ ეს როდი გააქრობს ერის სიყვარულს, სხვა ერთა სულებს იგრძნობ მაშინ შენი ერის სულის სიახლოვეს, ისე ვით მოყვასის გულისფიცარს გრძნობ ხოლმე ადამიანი თავის გულთან ახლოს, თვითგამოკვლევისა და თვითშემეცნების შემდეგ. საკუთარი ერის ისტორიულ ეთოსსა და მხატვრულ ფორმებში ზეეროვნული კლასიკური მაგალითების პოვნა და განვითარებაა უტყუარი საფუძველი და მართებული გზა სხვა ერთა კულტურების ჯეროვანი გაგებისა და შეფასებისა. ეროვნულიდან ინტერნაციონალურისაკენ მიმავალი ეს გზა აუცილებელია, რათა უნიადაგო, ჰაერში გამოკიდებულ ხეს არ დაემსგავსოს კაცი.

* * *

ადამიანი აღარ ენდობა საკუთარ სმენას (ასევე აღარ ენდო იგი ოდესღაც თავის მეხსიერებას, როდესაც პირველად ჩასწერა საკრალური წიგნები: ბიბლია, მანუს კანონები, ილიადა და ოდისეა და სხვა, მანამდე ზეპირად რომ გადადიოდნენ თაობიდან თაობაზე), ან არ სურს სმენის დაძაბვით ზედმეტად თავის შეწუხება. იგი ეძებს კომფორტს და განსჯითი აზროვნების ჩარევით იგონებს ფორტეპიანოს.

* * *

ხემიანი და სასულე საკრავები განსჯაზე უფრო ადამიანის ნათელხილვითმა ინტუიციამ და ხატოვანმა აზროვნებამ ჩამოჰქნა. ხემიან საკრავზე რეგისტრის ასამაღლებლად კონსტრუქტორის ნაცვლად შემსრულებლის მარცხენა ხელი ამცირებს დაკვრის პროცესში სიმების სიგრძეს. ბგერათა მიგნება და დასაზღვრა შემსრულებლის სმენით, მისი კერძო ინიციატივით წარმოებს. ამგვარი აქტიურობა უფრო ბუნებრივია, რადგან ადამიანიც ხომ თავისი სმენის მეოხებით პოულობს სიმღერის დროს ბგერათა სიმაღლეს. ადამიანი კი თავადაა შემოქმედის

სუნთქვით გამსჭვალული ბუნების გვირგვინი და უსრულქმნილესი ინსტრუმენტი.

* * *

პიანისტების საპირისპიროდ ვოკალისტები, ხემიანი და სასულე საკრავების სპეციალისტები თვით არიან მუსიკის ტემპერატორები. ისინი თავად გამოჰყოფენ დაუნაწევრებელი ხმოვანების ქაოსიდან ბგერათა კოსმოსს, ვითარცა შვიდი ცდომილისა და თორმეტი ზოდიაქოს ურთიერთქმედებათა მიკროკოსმიურ ანარეკლს (გამმის შვიდი საფეხური და თორმეტი ნახევარტონი). მათი გზა სმენიდან ბგერისაკენ მიემართება, პიანისტებისა კი პიკურუ (განსაკუთრებით პირველ ხანებში), ბგერიდან სმენისაკენ. ამრიგად, ხემიან და სასულე საკრავთა ბგერების წარმოებაში კოსმოსურ ურთიერთობათა უფრო კრეაციონისტული პრინციპი ირეკლება, ფორტეპიანოსთან მიმართებაში კი უფრო მექანიკური, პირველ შემთხვევაში თავისუფლება, ხოლო მეორეში – აუცილებლობა.

* * *

ტურიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის თვალსაწიერის გასაფართოებლად, ხელოვნების საკრალურ პრინციპებში ჩასაღრმავებლად. სასკოლო ასაკის მოზარდებში, ამ ნედლ, ჯერ გადაუზელელ მასალაში ჩვენი ისტორიული ძეგლები უფრო ქვეცნობიერად მოქმედებენ, რასაც მხოლოდ ჟამთა მსვლელობაში გამოაქვს სასურველი ნაყოფი.

* * *

შეუძლებელია ფორტეპიანოზე თუნდაც ისეთი პასტორალური განწყობილების შექმნა, ხის სასულე საკრავებსა და ვალტორნებს რომ ხელეწიფებათ. მისთვის ასევე მიუღწეველია პიკოლოებისა და ფაგოტების სარკაზმი ან იუმორი, საყვირთა ან

ტრომბონთა ნებელობა და ძალისხმევა, ხემიანი ჯგუფის გულიდან აღმომდინარე სითბო და ამაღლებული გრძნობები და ა. შ.

***

სამართლის სასწორი მხოლოდ მახვილსა და მალამოს იგუებს, მახვილს – ზადის მიზეზისათვის, მალამოს – შენანებულთათვის. პუბლიცისტიკის თვალსაწიერი ყველა ჯურის კრიტიკოსისაგან უმაგალითო ვაჟკაცობას მოითხოვს. ჭეშმარიტი პუბლიცისტიკა მოქალაქეობრივი სინდისის უმძლავრეს ელემენტს შეიცავს და თავის რიგებში ვერ იგუებს მხდალებსა და შემგუებლებს. არა მარტო სიყვარული ჭეშმარიტებისა, არამედ მისი დაცვა და მის ხელმყოფთა წინააღმდეგ საღვთო ომი უნდა იყოს დევიზი ნამდვილი პუბლიცისტისა. პუბლიცისტური მწერლობა თავისებური გაგრძელებაა პოლისების საბერძნეთისა და მოქალაქეობრივი ღირსებებისათვის მებრძოლი ძველი რომის ორატორული ტრადიციებისა. ეს გზა ნიადაგ მტრებით იყო ჩასაფრებული. მოითხოვა და ამჟამადაც მოითხოვს მსხვერპლსა და თავგანწირვას.

***

სიმართლის ქურუმი ცხენს კი არ უნდა კაზმავდეს გასაქცევად, არამედ თამამად და დაჟინებით აყენებდეს საკითხს ყველა იმ მონაწილის წინაშე, ვისზედაც ამ სამართლის აღსრულებაა დამოკიდებული, რადგან უტიფრის თვალები მართალი, მაგრამ აბსტრაქტული იდეების წინაშე როდი იხრებიან, არამედ სიმართლის დამცველი პიროვნებების ცეცხლოვანი და დაწმენდილი მზერის წინაშე.

***

საერთოდ ძნელია უკიდურესი პირუთვნელობა და სუბიექტური ელემენტის საბოლოო განრიდება. ეს ამბავი სიმპათია-ან-

ტიპათიის დაძლევას ჰგულისხმობს და ამგვარ დონეებთან შეთამაშება იშვიათად თუ ვისმე ხელეწიფება, რადგან მხოლოდ ამგვარი პოზიციებიდან ძალუძს კრიტიკოსს როგორც იფქლი ბზისაგან, ისე გამოარჩიოს მართალი და გულწრფელი სიტყვა ყალბი დიდების მოსახვეჭად აღვლენილი ენამზეობისაგან.

***

ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის ხორცშესხმას საზოგადოებრივი აზრის მომწიფება უძღვის წინ.

***

ანდაზას – მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო – მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, თუკი მოყვრის აშკარა პოზიტიურ მხარეებსაც აღნიშნავს. მხოლოდ ამით თუ მიხვდება იგი, რომ შენ სიხარულს არ გგვრის მის უარყოფით მხარეებზე საუბარი.

***

ქირურგიის ხელოვნებას დაუფლებული რედაქციის ზოგიერთი თანამშრომელი ამოკვეთისა თუ გადანერგვის ინსტინქტებს ვერ ასადავებს. ესსე თუ სტატია მთლიანი ცოცხალი ორგანიზმია, და თუ შიგ აშკარა ლიტერატურულ თუ ესთეტიკურ დამახინჯებებს ან ფაქტობრივ აღრევას არა აქვს ადგილი, უმჯობესია ამგვარ ოპერირებას მოერიდონ. რედკოლეგია უპირველეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს არ მიიწებოს პროკრუსტეს იარლიყი და უმთავრესად ავტორის სტილისა და მეობის შენარჩუნებისათვის ზრუნავდეს. თორემ რა არის, რომ მოხდენილ ხატოვან ან ძარღვიან მაგარ გამონათქვამებს ხშირად უმოწყალოდ ჰკვეცავენ, თითქო სახეზე ნაკვთებს გაჭრიანო და თუ იდეური შინაარსის შეცვლაზე დაგითანხმეს, ძვლების მსხვრევასა და ჭახჭახში ცენზორ-ტრავმატოლოგს იხილავ უთუოდ და

ხელში შეგრჩება საოპერაციო მაგიდაზე ნადები ესსე თუ სტატია, სუბიექტური მიდგომის ლანცეტით ათასგზის გაბასრული და ძვლებდაჩეჩქვილი, ან ფრიადოსანი მეათეკლასელის აკადემიურ სტილში კოხტად გამოხვეული.

***

ბუნებაში ერთი მეორით საზრდოობს და თავის ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, მაგრამ ადამიანის ბუნება უფრო ფართოა და სულიერ იმპულსებსაც შეიცავს. და მაინც, ადამიანთა უმრავლესობას ჯერ როდი ხელეწიფება მუშაობა საყვარელი საქმისათვის ანაზღაურებაზე ფიქრის გარეშე. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც სულიერი პური და მშვენიერება ფიზიკური პურის ინტენსივობით იქნება განცდილი.

***

მართლაც მოფიქრებაა საჭირო, რომ ქველი საქმით ზიანი მოიტანო.

***

საოპერო და, საგუნდო კოლექტივების საიმედო საფუძველი და კადრებით მომმარაგებელი კი მხოლოდ სპეციალური საგუნდო სკოლა თუ შეიძლება იყოს. ადრე გვითქვამს და კვლავაც ვიმეორებთ: პარადოქსად მიგვაჩნია, ისეთი საგუნდო ტრადიციების ქვეყანაში როგორიც, საქართველოა, არ ფუნქციონირებდეს ამგვარი სკოლა და სასწავლებელი.

***

ერთი მიმართულებით გაქნეული სად კენტი და სად რამოდენიმე მახვილი.

* * *

ვერც ერთი ერი დღეს ახალსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შეჰქმნის, თუ მის შემოქმედებით პოტენციას საფუძველს არ უმაგრებს ფართო ამთვისებლობითი საქმიანობა. მაღალი კულტურა ამჟამად გლობალური მასშტაბით განიზომება და ყველა დროის წამყვან კულტურათა სინთეზს ჰგულისხმობს.

* * *

ყველა განვითარებულ ერს უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული მთარგმნელობითი და, აქედან გამომდინარე, გლობალურ კულტურასთან წილნაყრობის საქმე, რითაც მარტოოდენ ახალი იდეებითა და მხატვრული სახეებით როდი ამდიდრებს საკუთარი კულტურის წიაღს, არამედ ენასაც განუზომლად სრულჰყოფს.

* * *

რუსეთის სამთავროთა დაარსებამდე დიდი ხნით ადრე ვთარგმნეთ სახარება. გვახსოვს ისიც, რომ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში, რუსეთის მთარგმნელობითი კულტურა ჩანასახშიც რომ არ იმყოფებოდა, ჩვენში არსებობდა მთარგმნელობითი ხელოვნების უმაღლესი სკოლა, რომლის საქმიანობის ხარისხი და მხატვრული ღირებულება ორიგინალური ლიტერატურის დონემდე იყო აყვანილი. ეს გახლდათ სკოლა იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, სკოლა, ორმხრივი მთარგმნელობითი საქმიანობისა, რამეთუ თარგმნიდნენ ისინი ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად. სწორედ მათმა ზეშთაგონებულმა ქართულმა მოამზადა რუსთაველის ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა.

* * *

სამაგალითო, მისაბაძ ერად ქცევისათვის დღევანდელ ვითარებაში აუცილებელია შემოქმედებითი ათვისება და გათავი-

სება მსოფლიო კულტურის ყველა იმ ქმნილებისა, მარადიულობის ცეცხლით რომაა აღბეჭდილი, ვინაიდან სწორედ მათ ხელეწიფებათ უკვდავყოფა ყველაფრისა, რასაც კი შეეხებიან, ადამიანი იქნება ის, კულტურა თუ ენა.

* * *

ქართული კულტურისა და ენის მაღალი პრესტიჟისათვის აუცილებელია მშობლიურ ენაზე ვიქონიოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც სადმე, თუ ოდესმე შექმნილა. ამით და მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია კულტურის სფეროში დავეფუძნოთ საყრდენთა შორის ყველაზე საიმედოს, საკუთარ თავს. დღევანდელი მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და თუკი რომელიმე ერს, რაოდენობრივი უპირატესობისა გამო ათგზის მეტი მაღალკვალიფიციური მთარგმნელი მოეპოვება, რითაც მსოფლიო კულტურის ათვისების საქმეში შესაშურ დონეს ინარჩუნებს, ჩვენ ათმაგი და ოცმაგი გარჯა გვმართებს, რათა არა მარტოოდენ რჩეულ ეროვნებათა დასში დავმკვიდრდეთ, არამედ მათთვის სამაგალითონიც გავხდეთ. ენთუზიაზმის ცეცხლი უნდა დავანთოთ იმგვარადვე, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა რომ დაანთეს ათი საუკუნის წინათ, ოღონდ ეს ცეცხლი დღევანდელობას, დღევანდელი კულტურის გლობალურ მასშტაბებს უნდა შეესატყვისებოდეს.

* * *

სასურველია და ერთობ მიზანშეწონილიც საქართველოში დაარსდეს სპეციალური სკოლა-ინტერნატი მომავალი მთარგმნელების აღსაზრდელად. ამგვარი სკოლა სამუსიკო, ფიზიკამათემატიკის და სხვა სახის სკოლა-ინტერნატებზე მეტად საჭიროა. სიმღერა-გალობის და მთარგმნელობითი ხელოვნების დიდოსტატის გიორგი მთაწმინდელის მზესა ვფიცავ, რომ ეს ასეა. და

თუ მას უშუალოდ ვერ დავიმოწმებ, უფლება მმოსავს ამ ორთავ საქმეში მისი უბადლო ოსტატობა, მისი რუდუნება და აღმზრდელობითი მოღვაწეობა დავიმოწმო, ამგვარ სკოლაში უნდა ჩამოყალიბდეს ყველა ძველი, თუ ახალი კულტუროსანი ხალხების ენათა შემსწავლელი კლასები, სადაც ყოველმა მოსწავლემ, სწავლების პერიოდში, ძველ თუ ახალ უცხო ენასთან ერთად მაღალ დონეზე უნდა აითვისოს ქართული ენაც, რათა აქედანვე ჩაუყაროს საფუძველი თავის მომავალ მთარგმნელობით მოღვაწეობას.

* * *

მთარგმნელობა საუკეთესო წვრთნაა ორიგინალური ლიტერატურული შემოქმედებისათვის, ნაცადი საშუალებაა ლიტერატურული ენის სრულყოფისა და გამდიდრებისათვის.

* * *

ყოვლად გაუმართლებელია ის ფაქტი, რომ ჯერაც, ერთმანეთისაგან იზოლირებულად, სხვადასხვა ასაკში აწვდიან მოსწავლეებს მეცხრამეტესაუკუნემდელი და მეცხრამეტე საუკუნის შემდგომი ლიტერატურის ნიმუშებს, რითაც იმთავითვე ერთმანეთისაგან განთვისებული ორი ქართული ენის ილუზიას უქმნიან მათ.

* * *

სკოლადამთავრებული მოსწავლე სრულყოფილად უნდა ფლობდეს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“, რომელიც მას მხოლოდ თავისი დროისა და სპეციალისტთა ვიწრო წრეებისათვის არ შეუდგენია, თავისუფლად უნდა ჰყვინთავდეს მეცხრამეტე საუკუნემდელი ქართული ლიტერატურის ნებისმიერ ტექსტში.

* * *

ერთიანი ქართული ლიტერატურის სიღრმისეული ათვისების გარეშე ვერასოდეს შევიგრძნობთ იმ ღვთაებრივ სურნელს, მთაწმინდელმა ღმერთკაცებმა და სხვა დიდმა მოღვაწეებმა რომ შთაჰბერეს ქართულ ენას, ვერ შეეხება იგი ჩვენი სულის, ჩვენი არსების უშინაგანეს, ყველაზე საკრალურ ნაწილს, ვერც იქცევა ქართული კულტურის ქვაკუთხედად, ამ კულტურისა და თავად საქართველოს უკვდავმყოფელად.

* * *

ქართულ ენასთან დაკავშირებით სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს ძველისა და ახლის გაგება. ერთიანია ქართული ლიტერატურა და ამიტომაც ერთიანი და განუყოფელია ქართული ენა.

* * *

ენა ქართული, ძველბერძნულზე ძველია. ქართული ენა უძველესი მკვდარი ენების, სანსკრიტისა და შუმერულის კბილაა. თუმცა მკვდარი და ცოცხალი ენების შედარება პირობითია, ვინაიდან მკვდარი ენა ქარვაში ჩამუმიავებული ორგანიზმივით უცვლელია და გაყინული. ცოცხალი ენის წიაღში კი, ჰერაკლიტე ეფესელის გამოთქმისა არ იყოს, ისევე ვერ შეხვალ ორგზის, როგორც ერთიდაიმავე მდინარეში, რადგან წყალი, წუთისწინ რომ ჩაიარა, სხვა წყალმა შესცვალა. ასევე ცოცხალი ენა გუშინ რომ იყო, დღეს იგი აღარაა, მარადიული ქმნადობის განუწყვეტელ პროცესში იმყოფება იგი.

* * *

ცნობილია, რომ ქრისტეს ერთი სიტყვაც კი არ დაუწერია. როდესაც რაიმე იწერება, რამდენადმე დაკანონებულ სახეს ღებულობს, სამუდამოდ გამოეყოფა მარადიული ქმედები-

სა და მუდმივ ცვალებადობაში მყოფი პროცესის მდინარებას, რომელსაც შეიძლება მარადიული შემოქმედებითი დუღილი, ან დაუსაბამო სიტყვა ვუწოდოთ. მხოლოდ დაუსაბამო სიტყვის მარად მოქმედ და ყოვლის აღმვსებ ველში ჩართულ ადამიანებს ძალუძთ ოდესღაც პაპირუსსა თუ ქაღალდზე დაწერილის კვლავ გაცოცხლება და ოდესღაც გამოყოფილის კვლავ შეერთება მარადიული ქმედების წყაროსთან, რადგან ამგვარი სინთეზის უნარს, დიახაც, რომ დაუსაბამო სიტყვის მადლი იძლევა.

***

ყველა ქართველმა უნდა იცოდეს იმ განძეულის ფასი, მისთვის რომ მოუხვეჭიათ დიდ წინაპრებს. და რომ იცოდეს, უნდა დაეუფლოს ამ მოსახვეჭელს. და რომ დაეუფლოს, ამისათვის უნდა იღვაწონ მათ, ვისაც უკვე მოუხვეჭია იგი, ვინც კურთხეულია ამ ენის მადლით. მათ უნდა მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი სკოლებში ქართული ენის უფრო სრულყოფილი მიწოდებისათვის. მეცხრამეტესაუკუნემდელი ლიტერატურა სახადივით კი არ უნდა მოიხადონ მოსწავლეებმა ერთი-ორი წლის მანძილზე სადღაც მაღალ კლასებში, არამედ უკვე მეორე, ან მესამე კლასიდან უნდა გადიოდნენ ახალი ლიტერატურის პარალელურად, დაბალ კლასებში ჯერ მცირე რაოდენობით უნდა დავიწყოთ მისი მოსწავლეებისათვის მიწოდება და ყოველწლიურად გავზარდოთ დოზები.

***

არა თუ სასურველი, ვფიქრობ, აუცილებელიცაა უკვე მაღალ კლასებში მოსწავლეებმა თითქმის მთლიანად გაიარონ „ქართლის ცხოვრება“. იგი არა მარტოოდენ ისტორიული, არამედ უზადო ისტორიული ქმნილებაცაა და ატარებს მეცხრამეტესაუკუნემდელი ქართულის ყველაზე მაღალ თვისებებს. ნურავინ შეგვეკამათება, რომ ეს მასალა რთული და მოსწავ-

ლეთათვის თითქოს ძნელად დასაძლევი იქნება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თორმეტი წლის ასაკში კითხულობდა თამარის ისტორიკოსს და ყოვლად დაუშვებელია ამ ამბავს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი არ შეესრულებინა ქართული ენისა და ისტორიისადმი მისი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

* * *

თავისი მნიშვნელობითა და დანიშნულებით „ვეფხისტყაოსანის“ შემდეგ „ქართლის ცხოვრებას“ ვერც ერთი ქართული წიგნი ვერ შეედრება. რუსთაველსა და სულხან-საბა ორბელიანს შორის მოქცეული მასალა სამგზისაც რომ შეიკვეცოს, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის რიგი ქმნილებებისა რომ შეეწიროს ამ ამბავს, „ქართლის ცხოვრება“, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, მაინც უნდა შევიდეს ქართული სკოლების სასწავლო პროგრამაში.

* * *

სახლში ან მეგობართა წრეში თუგინდ ტკბილი იმერული, მეგრული, იუმორით გაჯერებული სხარტი გურული, ძარღვიანი ქართლ-კახური, დინჯი რაჭვული, ან რვალისებრ ნაჭედი ფშავ-ხევსურული კილოთი ისაუბრე, მაგრამ ფლობა სიტყვიერი არსენალისა, ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ფლობას რომ განაპირობებს, ნებისმიერი ქართველის უპირველეს მოვალეობად უნდა იქცეს. მხოლოდ ამგვარმა რვალმან და ქვიტკირმან ქართული ენისამან შეიძლება უზრუნველყოს სიმტკიცე ჩვენი ეროვნული მეობისა. მხოლოდ ქართული ენისადმი სწორ მიმართებას შეუძლია საშურო წინამძღვრების მომზადება საქართველოს მისაბაძ ერად გადაქცევისათვის.

* * *

დიდი კომპოზიტორები კოსმიური ჰარმონიის იმპულსებით ტვიფრავენ ფსიქეს და განაპირობებენ მისი გრადაციის პროცესს. ფსიქეს ისტორიული განვითარების ამ სტადიებს კი თანამედროვე სულის ფოკუსში მხოლოდ დიდი შემსრულებელი თუ უყრის თავს. იგი როდი გვთავაზობს წარსულის განწყობილებას, კომპოზიტორის ხასიათში ვითარცა დროის ფენომენში ჩამოსხმულსა და სტაბილიზებულს, არამედ ამ ხასიათის მიღმა მდებარე ტრანსცენდენტულ მარცვალს – შემოქმედებითი საწყისების თავანკარას, ჟამისა და სივრცის კიდეგან მდგარსა და მარადიულს. სწორედ რომ დიდი პიანისტი შეიძლება იყოს კომპოზიტორთა და მსმენელთა შორის ინტიმური ძაფების გზნებით გამბმელი და იმ მუზის განმცხადებელი, კომპოზიტორს რომ შესჩენია მფარველ გენიად.

* * *

პიანისტმა წინასწარგანზრახულს გაბედული მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეუთავსოს. წინასწარგანზრახულობა ფორმის ფენომენს მიეკუთვნება და თვით ისეთი დენადი ხელოვნების წარმომადგენლებსაც კი, როგორიც არიან მუსიკოს-შემსრულებლები, წინასწარ უნდა ჰქონდეთ დასახული მიზნად იდეალური ფორმა.

* * *

ქართული საგალობლებისა და სიმღერების სასწავლო პროგრამაში შესატანად კონკრეტული და რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო. ამისათვის უნდა შეიქმნას გარკვეული ცენტრი, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებს. ამგვარ ცენტრად ქართული მუსიკის კათედრას ვიგულებდით, ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს ჩვენს კონსერვატორიაში. ძველთუძველესი ქართული მუსიკალური კულტურა სწორედ რომ ღირსია საკუთარი კათედრა გააჩნდეს.

* * *

ქართული სიმღერა-გალობა საუკეთესო ვაქცინაა, ბრძოლის უებარი საშუალებაა ჩვენი მუსიკალური კულტურის ორი დაავადების, ორი დაუძინებელი მტრის მასსაში გავრცელებული აღმოსავლური ბაიათების და ფსევდო-ინტელიგენციის ფენაში მოდებული ჯაზური მუსიკის წინააღმდეგ. რატომ უნდა გაისმოდეს ჩვენს ქორწილებსა თუ სხვა თავშესაყარ ადგილებში, განსაკუთრებით სოფლად, ნაცვლად შესანიშნავი სუფრული და მხედრული სიმღერების, ზურნისა ან კლარნეტის გულისგამაწვრილებელი ჭყვიტინი დოლ-გარმონის აკომპანიმენტზე? რად გარდიხვეწნენ ჩვენი სანიმუშო სიმღერები ყოფიდან? აქ საცნაური ხდება ქართული მუსიკალური ფოლკლორის დაუძინებელი მტერი, ჩვენთვის უცხო, აღმოსავლური ელემენტი.

* * *

შოპენი ზეეროვნული მოვლენაა, მეტად იშვიათია და ძნელად მისაღწევი შოპენის ესთეტიკის სფერო. იგი იმ ლეგენდარული ხელმწიფის სასახლეს მიაგავს, რომლის წინაშე მდგომობა მხოლოდ სულის არისტოკრატებს ხელეწიფებათ.

* * *

ყოვლისმომცველი ცნობიერება წარმოუდგენელია იდეალური ჰარმონიის გარეშე, რადგან წარსულის განჭვრეტა ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვევის, სინდისის გაღვიძების, სინანულისა და ურთიერთშენდობის საწინდარიცაა. მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება აღმოცენდეს ძმობისა და ერთობის არა აბსტრაქტული იდეა, არამედ პრაქტიკული განხორციელების რეალური შესაძლებლობა. ასე თავისუფლდება ადამიანი თავისი პატარა მეობის, ეგოიზმის ტყვეობიდან და ხდება სამყაროს სრულუფლებიანი მოქალაქე, უზენაესი სიხარულის თანაზიარი,

აუცილებლობისა და თავისუფლების შემარიგებელი და გამაიგივებელი.

* * *

არაფერი განსაზღვრავას ისე ამა თუ იმ თეატრის მხატვრულ დონეს, მისი მსახიობების არტისტულ გაქანებას, როგორც ბერძნული დრამატურგიის შედევრებისა და შექსპირის ტრაგედიების დადგმა. სწორედ ეს გახლავთ ნებისმიერი თეატრის ბარომეტრი და აქილევსის ქუსლის წარმომჩენი.

* * *

პირველი საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ქრისტიანობის ზოგადსაკაცობრიო პრინციპის ისტორიულმა განხორციელებამ თანდათან ცხადყო სულიერი ნათესაობის პრიორიტეტი სისხლისმიერ ნათესაობაზე.

* * *

მუსიკას უდიდესი როლი ენიჭება გმირთა შინაგანი ბუნებისა და უმნიშვნელოვანეს სიტუაციათა გასახსნელად. იგი მოქმედებს სიტყვისა და განსჯის მიღმა, როგორც ერთგვარი ინტუიცია, რომელიც ხშირად უფრო მეტს გვესაუბრება გმირებისა და საბედისწერო მოვლენების უჩინარ, ფარულ საწყისებზე, ვიდრე თავად სიტყვა და მსჯელობა.

* * *

საქართველოს ოდითგანვე დაჰნათოდა თავს ქალწულის ზოდიაქოს შუქი კოლხი მედეას სიბრძნეში, ღვთისმშობლის წილხვდომილობაში, ნინოს მიერ იბერიის მოქცევაში, ქეთევანის საკვირველ მარტვილობასა, თუ თამარის ღვთივკურთხეული გვირგვინის ელვარებაში არეკლილი. ასე, რომ სიმბოლო და

ისტორია აქაც აპირობებენ ურთიერთს. სიმბოლო კი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის იდუმალი შემოქმედებითი ძალებიდან აღმოცენებული, მისსავე შინაგან ბუნებაზე მოღაღადე სურათხატით სტატიზებული იმაგინაცია, რაც ხელოვნების ქმნილებაში მართებულად წარმოჩენისას მძაფრად ზემოქმედებს ხალხის მიძინებულ, მთვლემარე ხატწარმომქმნელ უნარზე.

***

ცრუ და უტიფარი თვალები მართალი, მაგრამ აბსტრაქტული იდეების წინაშე კი არ იხრებიან, არამედ – თავისუფალ ინდივიდუალობათა ცეცხლოვანი სიტყვისა და დაწმენდილი მზერის წინაშე.

***

მხოლოდ სულით მხედრებს თუ ხელეწიფებათ მიახლება ქართულ მწერლობასთან, რამეთუ ყველაზე ძალუმად ენის სტიქიაში ცხადდება ერის სული და მიმართება სიტყვათა სიტყვასთან, ლოგოსთან („რომელი იყო პირველთაგან, და რომელი იყო ღმრთისა თანა“). დიახ, სულის ახოვანი მხედრები არიან „ვეფხისტყაოსანისა“ და „გალობანი სინანულისანი“-ს ავტორები, რუსთაველი და დავით აღმაშენებელი, სულმნათი გურამიშვილი და ლაშარის მოყმე ვაჟა-ფშაველა. საქართველოს ცის ეტრატზე ამოტვიფრული მოიხილა ბარათაშვილმა მისი ბედის სამძღვარს გადაცილებული მერანი. ცხენზე ამხედრებული მიადგა სიტყვის ხუროთმოძღვარი კონსტანტინე გამსახურდია სვეტიცხოვლის ბჭეებს (სავანეს, სადაც ქრისტეს კვართი ანუ „საქართველოს ცხელი გული ასვენია“). და თვით გალაკტიონიც, თავისი ლექსებიდან ხშირად ეგზომ ნაზად გამომჭვირვალი, მხოლოდ ლურჯა ცხენებით თუ ცხადდებოდა ცხენთა და ლექსთა შეჯიბრებაზე. დიახ, წმინდა გიორგის მხედრებმა შექმნეს ჩვენი ეროვნული მწერლობა (ჩვენი დამწერლობის ერთ შტოსაც, ხომ მხედრული ეწოდება). საგულისხმოა, რომ ქართულ მწერლობაში, ვერც ერთი მხდალი და ორპირი ვერ

გასცილდა საშუალოების მიჯნას. მაშასადამე, საქართველოში გზა ერთია მხედრობიდან სულეთისაკენ და მხედრობიდან – მწერლობისაკენ.

* * *

ყოველ საეჭვო ტრადიციებზე მაღლა დგას სიღრმისეული ალღო ჭეშმარიტებისა, რომ თავად ჭეშმარიტებაა ყურით მოთრეულ ყველა ავტორიტეტზე უაღრესი და ავტორიტეტთა კომპეტენტურობის განმსაზღვრელი.

* * *

ერთადერთი, მხოლოდ ღვთაებრივი მარადისობიდან გამომდინარე ტრადიციები და საქმეებია ურყევი, რომელნიც „ვერ გარყვნან მღილთა და მპარავთა ვერ წარიტაცონ“. სხვა დანარჩენი კი ჟამთა მონაკვეთში მომწყვდეული არასრულყოფილებაა, რომელიც გამუდმებით უნდა სცვალოს და სწვართოს სრულყოფილებისათვის მებრძოლმა, ჟამთა დინებაში შემოჭრილმა განგების ცეცხლმა, ანუ გარდუვალობამ თავისუფალი, პროგრესული ინდივიდუალობების მეოხებით.

* * *

აწ აღარავინ აიძულებს ადამიანს მსხვერპლის მოტანას სოლომონის, იოსების ან სხვა ნებისმიერ ტაძარში. დღეს მხოლოდ სულით და ჭეშმარიტებით გაღებული მსხვერპლი შეიწირების, რადგანაც კაცთა შემოქმედს როდი განუზრახავს მონათა ღმერთობა. მისი მიზანია თავისუფალი, სახიერი ადამიანი.

* * *

საქართველოს ისტორია ხომ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაა თავად. მხოლოდ ამ მიჯნაზე გამობრძმედილებს თუ უგემნიათ მარადიული ცხოვრების სურნელება. მხოლოდ ასეთების თავ-

განწირვამ თუ შეინარჩუნა საქართველო და ფენიქსებრი ძალ-მოსილება შთაბერა მას.

* * *

ვაჟკაცობის ეტალონი მხოლოდ ადამიანის სიკვდილთან მი-მართებით განიზომება. ყოველი მწვერვალის, ყოველი საუნჯის დაუფლება გარკვეული შიშის გადალახვას მოითხოვს. „და ამასაც იქმს ღმერთი მრავალგზის, რა იხილნოს სულნი ახოვანნი და და-საბამსავე მიუშვნის მათ ზედა ბრძოლანი, რათამცა მალიად გვირ-გვინოსან ყვნა იგინი“. მხოლოდ შიშია გამწვრთნელი კაცთა და ვაჟკაცობის სალესი. მისთვის დაუდგინეს მცველად ოქროს საწ-მისს საზარელი ურჩხული. მისთვის სდარაჯობენ ზღაპრებში მზე-თუნახავს შემაზრზენი დევები. შიში ეს ის დაბრკოლებაა, ვარდის ულამაზეს კოკრებს რომ შესევია პირბასრ ეკლებად, და ამიტომ განა უწყის ვინმემ, თუ როგორ მშვენიერებას სდარაჯობს სიკვ-დილის შიში? შეხედეთ ინდოეთის ქშატრიებს (მეომართა კასტა), სარეცელში როდი იხოცებოდნენ ისინი, არამედ ღრმა სიბერეს მიწეულნი სახიფათო ადგილებს ეძებდნენ ომში, რათა ბრძოლის ველზე მომკვდარიყვნენ. ამას ავალებდათ მათ მათი წოდება.

* * *

ლიტერატურა ენისა და თავად ერის, ვითარცა ცოცხალი ორგანიზმის, პულსაციისა და განვითარების უმთავრესი გამომ-ხატველია. მკვდარ ენაზე, ერის სიკვდილის ამ უდავო საბუთზე, არ იქმნება ახალი ლიტერატურა.

* * *

სწორედ ლიტერატურის მაღალი პოზიციებიდან შესძლო ილია ჭავჭავაძემ თავის მიმდევართა თანადგომით დაელაშქრა თვითმპყრობელობის, ერთი შეხედვით, მიუდგომელი სიმაგრეე-

ბი, გამოეძალა იმპერიის მთავრობისათვის ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების, ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საზოგადოებისა და დაწესებულებების დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარა უცებ, ცენზურასა და შოვინისტ რუს მოხელეებთან შეხლა-შემოხლის გარეშე, მაგრამ მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გეორგიევსკის ტრაქტატის დაახლოებით ასი წლის თავზე ილიას და მის თანამდგომთა მეოხებით, საქართველომ თუ პოლიტიკურს არა, ნაწილობრივ კულტურულ ავტონომიას მაინც მიაღწია.

* * *

პარტიულობა წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, იგი იზღუდება მისთვის მისაღები იდეების წრედით და ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა გულისხმობს ამ იდეების ცხოვრებაში გატარებას მიღწეული ძალაუფლების მეოხებით.

* * *

ყველაფერს შესაბამისი სახელი უნდა დაერქვას და წმინდა ილია მართალმა თავისი ურყევი რწმენით, მსოფლმხედველობითა და საქმით უთუოდ დაიმსახურა ეს წოდება, რადგან ჭეშმარიტ ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიჩნდა. მისი ცხოვრებისეული კრედო შემდეგმა სიტყვებმა გამოხატეს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

* * *

ღმერთი თავისი განკაცებით მოყვასად იქცა, ხოლო აღდგომითა და კაცური საწყისის უკვდავყოფით მან ღმერთად აქცია მოყვასი.

* * *

ნიავის ქროლვად მოსჩანს მეცხრამეტე საუკუნის ქარი მეოცე საუკუნის გრიგალთან. ამ წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა უშემზარავესი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრელი წითელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელთ.

* * *

საუკუნეებს სიშორე უფრო აახლოებს, თუკი დრო-ჟამი სულით დაინაღმება.

* * *

ისე ვით ღმერთმა განკაცებით, თავის ქმნილებასთან შეერთებით უკვდავყო კაცი, ასევე ესწრაფვის ყველა დიდი ხელოვანი შეუერთდეს თავის შთაგონების პირმშოში უმშვენიერესსა და უწარმტაცესს, რათა საკუთარი ინდივიდუალობით ბოლომდე განმსჭვალოს, განამშვენოს და უკვდავყოს იგი თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

* * *

მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებაზე სამი რამ ახდენს ყველაზე დიდსა და ცხოველმყოფელ ზემოქმედებას: მძლავრი ცხოვრებისეული კატასტროფებისა და ხიფათების განცდა (სიკვდილისათვის თვალის გასწორება, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ცხოვრებას რომ ასწავლის მათ), კულტურისმიერი და ბუნებისმიერი ფენომენი.

* * *

მრავალთა და მრავალთა როდი უწყიან, რომ ქართველი

ერის ფარული მისია იყო არა თუ დაკავშირებული რუსეთის ბედ-იღბალთან, არამედ რამდენადმე განსაზღვრავდა კიდეც მის მომავალს.

* * *

ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა ჟამთა დინებაში განფენილი ერთიანი საკაცობრიო კულტურის გრადაციის უვრცეს სხმულში. ოდითგან ასე იყო: როდესაც ერთი ხალხი ჰქმნიდა კულტურას და შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვის პროცესში იმყოფებოდა, მეორე იცდიდა, გარკვეულ დრომდე ცნობიერების ბავშვურ დონეს ინარჩუნებდა და შემოქმედებით ენერგიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მარცვალი წინა ხალხების კულტურათა მონაპოვარისა მიეღო თავის სუფთა, ხელუხლებელ წიაღში მომავლისათვის ცნობიერების უფრო აღმატებულ დონეთა დასაუფლებლად.

* * *

დაკვირვების როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ობიექტი არის რეალობა, რომ აზროვნებას ძალუძს შეიმეცნოს საგანი თავისთავად, რომ მეცნიერება უმაღლეს დონეზე სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნეობა, რომელსაც თავად შემოქმედის ლაბორატორიაში შეჰყავხარ, რომ აზროვნება ერთდროულად არის ობიექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემეცნების საშუალებაც და როგორც სუბიექტური პროცესი, ადამიანის მე-ს გამოხატულება.

* * *

საქართველო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ამაოდ როდი იქნევდა ხმალს ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. მას მუსულმანური გარემოცვის ცენტრში უნდა შეენარჩუნებინა ქრისტი-

ანული სამეფო, თუნდაც წერტილისოდენა არე ქრისტიანული საუფლოსი და არ მიეცა ამ გარემოცვისათვის რკალის შევიწროვების საშუალება. ამაში გამოიხატებოდა იმჟამად ქართველი ერისა და საქართველოს, როგორც სამეფოსა და სახელმწიფოს მისია.

***

ქრისტიანული კულტურის ჭეშმარიტი გაგება სცილდება ბიბლიის ფარგლებს. მაღალი გაგებით იგი კულტურათა სინთეზის კულტურაა.

***

ხმალი, წიგნი და ისევ ხმალი, ამგვარი ცხოვრების გზა ყოფილა საქართველოს ხვედრი. დავით აღმაშენებლისეული ხელოვნება ხმალიდან წიგნზე და წიგნიდან ისევ ხმალზე გადართვისა, თამამად შეიძლება მთელი საქართველოს ბედ-იღბალსა და განვლილ გზას შევუსატყვისოთ. და ეს ხმალი აროდეს ჰკავებია აგრესორის ხელს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის, ღირსებისა და კულტურის დამცველს. ამიტომ საუკუნეების მანძილზე ეულმა და ევროპისაგან სავსებით მოწყვეტილმა ქვეყანამ დაუყვედრებლად დაიმსახურა ის, რისთვისაც თავი შეინარჩუნა – ევროპის, ანუ გლობალურ კულტურასთან და ცივილიზაციასთან ზიარება, მასთან გათანასწორება და საკუთარი, თავისთავადი მყობადის საიმედო პერსპექტივა. ეს არის საქართველოს ღირსთა მამათა, უამრავ მოწამეთა და გმირთა დამსახურება, რომელთაც სახელი ქრისტეს ცნებისა კლდესა ზედა დააფუძნეს.

***

იდეოლოგიური მოტივით და მოქმედების ექსპანსიონისტური ფორმით შემოიჭრა ბოლშევიკების მე-11-ე არმია საქართვე-

ლოში და როგორც თავადვე განაცხადეს, ეს გამოიწვია ადგილობრივი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის თხოვნამ დახმარებისათვის, ორგანიზაციისა, რომელიც თუ დავუჯერებთ საარქივო მასალებს, წლების მანძილზე რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის დირექტივებით მოქმედებდა საქართველოში და ცხადია ეს თხოვნაც დირექტივით იქნებოდა ნაკარნახევი.

***

სავალალოა, რომ მეცნიერულმა აზროვნებამ ბევრად გაუსწრო ადამიანთა საზოგადოების მორალურ განვითარებას, რამაც დედამიწა შემზარავი კატასტროფის, გამოფიტვისა და განადგურების წინაშე დააყენა. და ამ ამბავს ღორისა და მუხის იგავის გარდა ვერაფერს შეადარებ.

***

მე, ეროვნებით ქართველმა, როცა მეგონა სამშობლოს ჩემსას კარგად ვიცნობდი, ხელახლა აღმოვაჩინე იგი, როდესაც „ქართლის ცხოვრება“ წავიკითხე. ქართულ მწიგნობრობაში „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ თავისი მნიშვნელობით მას ვერცერთი წიგნი ვერ შეედრება. ქართველი მემატიანენი არც აღწერის სტილით, არც დასკვნების ობიექტურობით და არც ისტორიულ მოვლენებში წვდომის სიღრმით არაფერს დაუთმობენ ანტიკური ხანის ისტორიული მწერლობის მოჰიკანებს და ამას ყოველგვარი მიკერძოებისა და ეროვნული ქედმაღლობის გარეშე ვამბობ.

***

ხალხების წარსულს მხოლოდ იგი არ აგდებს აინუნში, ვინაც არ უწყის, რომ ისტორია ადამიანური ყოფის საიდუმლოებათა წვდომაა, რომ იგი ყველაზე აქტიური ადამიანების ბიოგრაფიათა ურთიერთგამსჭვალვაა. სურათი როგორც მაღალი იდეალე-

ბის, ასევე ეგოისტური სურვილების ცხოვრებაში რეალიზების მცდელობისა და, აქედან გამომდინარე, სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ჭიდილისა, სკივრი ზნეობისა უთვალსაჩინოესი მარგალიტებისა, ზნეობათა ჭეშმარიტი კიბე, სიკეთის ბოროტებაზე მორალური გამარჯვების წარმომჩენელი.

* * *

ისტორიისადმი სიბრმავე და სიყრუე მას დამართნია, ვისაც ვერ გაუგია, რომ ნებისმიერი სოციალური წარმომავლობა მხოლოდ ნიღაბია ადამიანის უკვდავი სულისა, ვისაც არ განუცდია დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ აჩრდილებთან მეგობრობა, რომელიც ზოგჯერ თანამედროვეებთან მეგობრობაზე უფრო სულიერია, ღრმა და ინტენსიური, რადგან ამგვარ ურთიერთობაში გამორიცხულია ლექი ცხოვრებისეული წვრილმანებისა. დიახ, თავისუფალი, სულზე ბორკილდაუდები ინდივიდუალობებისათვის, თუკი მათ როდესმე დედამიწაზე უცხოვრიათ, აღარ არსებობდა დრო, მათი მეშვეობით ისტორია ნიადაგ მოქმედებს ადამიანებზე. სულისშემძვრელია ეგ ზემოქმედება, რადგან მათი სახით ოცნებაში ადამიანები საკუთარ თავსაც ხედავენ, ოღონდ სულზე ბორკილების გარეშე. დიახ, ისტორიის ზემოქმედება ადამიანთა ქვეცნობიერებაზე მსოფლშემეცნების უმნიშვნელოვანესი ობიექტია და მრავალ საიდუმლოებას ჰფენს ნათელს. ამავდროს, იგი ხალხებს შორის ჭეშმარიტი სიმპათიის გამღვივებელიცაა.

* * *

ისტორია გვასწავლის მარადიული ღირებულებების შეცნობას, თუ რა უნდა გავიხადოთ სამაგალითოდ, ან, როგორ უნდა ვეძიოთ, ვპოვოთ და დავაფასოთ ღირსებანი თანამედროვეთა შორისაც, რადგან ვერ განიშორებ შურისა და მეტოქეობის

ჟანგს, თუ კეთილგანწყობისა და პირუთვნელობის უნარს გარდასული დროის სიქველეთა ემბაზში განბანით არ მოიპოვებ. გარდაცვლილთა შორის ღირსებათა ვერ მპოვნელი, ვერც თანამედროვეთა შორის დაინახავს მათ. ხორციელთა ღირსების ვერდამფასებელი კი ამაოდ ნუ ეცდება „ზესთ მწყობრთა მწყობრისად შერთვას“. ასეთია მომნუსხველი ძალა ისტორიისა.

* * *

ქართული ენა ჩვენთვის ოდითგანვე წმინდათა წმინდას და ცხოვრების ნებისმიერ სფეროთა დაუფლების უმთავრეს საშუალებათაგანს წარმოადგენდა. ამადაც დაჭრილი აფთარივით წამოვემართებით, როგორც კი ვინმე მისი ღირსების ხელყოფას დააპირებს. უმჯობესია თავი დაანებონ ჩვენი სიმტკიცის მოსინჯვას და ნურავინ ეცდება ინტერნაციონალიზმის წმინდა სახელით რუსიფიკაციის შემოტყუებას. ამ საკითხში კომპრომისი არ იქნება.

* * *

დროა საქართველოში მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობა იმდენად ფლობდეს ქართულს, რამდენადაც ქართველობა ფლობს რუსულს. ამას მათ უნდა ავალებდეთ რესპუბლიკისა და იმ ხალხისადმი პატივისცემის გრძნობა, სადაც და რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ.

* * *

არაქართველ მოქალაქეთათვის, დიდ ხნით, ან სამუდამოდ რომ მოდიან საქართველოში სამუშაოდ და ამიტომ საცხოვრებლადაც, უნდა არსებობდეს ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

* * *

ისე, ვით მარჯვენას თვისას არ მოიკვეთს ქართველი, თუკი მარჯვენა იგი არ აცდუნებს მას, ასევე არ მოიკვეთს იგი საკუთარი სულიდან მშობლიურ ქართულს, ვინაიდან, ქართულ ენას აროდეს უცდუნებია იგი, აროდეს მოუგვრია მისთვის მზვაობრიობა, სხვა ენებისადმი პატივისცემის გამნელებელი.

* * *

ქართულზე უკეთ ჩვენ ვერც და არ შევისწავლით და მშობლიურ ენად რუსულს ვერ გავიხდით. ქართული ენა ქართველთათვის მუდამ უპირველეს ენად დარჩება, როგორც მისი სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი შეგნებისა და კულტურული სახის უმთავრესი გამოხატულება, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამამთლიანებელი.

* * *

ჩვენთვის სამაგალითო იყო რეფორმაციის ეპოქაში გმირული ბრძოლა ევროპის ხალხებისა მშობლიური ენის უფლებებისათვის, ოდეს ლათინური ენის ბორკილებისაგან გამოთავისუფლებით დასაბამი მისცეს საკუთარი ეროვნული კულტურების აღორძინებას.

* * *

დიახ, მუდამ შეუპოვარი ვიქნებით საქართველოს უფლებებისა და მისი სახელმწიფოებრიობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. აწ და მარადის ძირს არ დავუშვებთ ქართული ენის დიდების დროშას. ან რად არ უნდა გავწიოთ ჭაპანი სიკვდილის შვილთათვის ღირსებად შესარაცხი? რაც ჩვენ ოდითგან შევქმენით და დედის ნანასთან ერთად შევისისხლხორცეთ, რაც საკუთარი სისხლით გავაპატიოსნეთ, ათას ქარცეცხლში გამო-

ვატარეთ და თვალის ჩინივით შემონახული დღემდე ღირსეულად მოვიტანეთ, რატომ არ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში? ქედმაღლურად ჩვენი თავი სხვა ერებზე მაღლა არასოდეს დაგვიყენებია და არც სხვებზე მეტ პრივილეგიებს მოვითხოვთ, მაგრამ საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივი უფლებების განმტკიცებით საკუთარი მეობის განმტკიცება თვითდამკვიდრებისა და პარტნიორთა გულწრფელი დამოკიდებულებების ერთადერთ გარანტიად მიგვაჩნია.

* * *

ორი ადამიანის მეგობრობა მხოლოდ მაშინ არის იდეალური, ოდეს არცერთის პიროვნული თავისუფლება არ კნინდება. მაგრამ აქ კიდევ დასაშვებია და მოსაწონიც, როცა ერთის საკეთილდღეოდ მეორე თავისივე ნებით გაიღებს ხოლმე მსხვერპლად საკუთარ თავისუფლებას. მაგრამ სახელმწიფო პიროვნება როდია და ამიტომ ორი ხალხის მეგობრობისას ბრძნულად და გულწრფელად უნდა იქნას განბჭობილი და გააზრებული ურთიერთობის თითოეული დეტალი, გამაბრუებელი ქება-დიდების გარეშე ერთობლივად წარმოჩენილი და მორალის სასწორზე დადებული წარსულის ყოველი დარღვევა, შეცდომა თუ გატეხილი სიტყვა, რათა შემდგომში მსგავსი აღარ განმეორდეს.

* * *

ქართველების ჭეშმარიტი ორიენტირი მუდამ საკუთარი თავის იმედი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო. რუსეთთან არა არსებობის, არამედ სახელდობრ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დასდო ხელშეკრულება საქართველომ, რადგან მათ გარეშე რაღა ფასი ექნებოდა არსებობას.

ამიტომ, იქედან მოყოლებული დღემდე და დღეიდან უკუნისამდე, რუსეთ-საქართველო ურთიერთდამოკიდებულების მიზანშეწონილება მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებრივი სარწყულით განიზომება. მკვიდრად ჩავიბეჭდოთ თავში ეს აქსიომა, თორემ საკითხი ან ტრაქტატით გათვალისწინებული სუვეტრენიტეტი, ან ხელშეკრულებამდელი მდგომარეობის დაბრუნება, არასოდეს მოძველდება.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წარსულში მომხდარ შეუსაბამობებს ხაზი გადავუსვათ. ისინი მხოლოდ მაშინ შეიძლება ამოვძირკვოთ მეხსიერებიდან, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იმდენად დაიხვეწება, რომ არც ამჟამად, არც მომავლისათვის სადავოს აღარაფერს დავტოვებთ. სწორედ ამ ურთიერთობათა ამგვარი სრულყოფისათვის უნდა ისწრაფვოდეს ის, ვისაც ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი მეგობრობა სწყურია.

სცდება, ვისაც ჰგონია, რომ ამ საკითხში საწადელს უკვე ვეწვიეთ და საბოლოო წერტილი დავსვით. ეს ურთიერთობა სტატიური არასოდეს ყოფილა და მომავალშიც განუწყვეტელ ევოლუციას ჰგულისხმობს, სრულყოფას – მხოლოდ სამართლის ყოვლისგანმკურნებელი სასწორით.

***

სულიერი სიჯანსაღე ერისა სამყაროსადმი, მსოფლიო კულტურისა და საკუთარი თავისადმი სწორი დამოკიდებულებით რომ მიიღწევა, მისი სიცოცხლისუნარინობისა და ფიზიკური ძლიერების საწინდარიცაა, იმგვარი ძლიერებისა აგრესორობასა და ძალმომრეობას რომ გამორიცხავს, თორემ სად ძალმომრეობა და სად ჯანსაღი სული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას წონასწორობის დამყარება სულიერსა და ბუნებისმიერ საწყისებს, გონებრივსა და

ფიზიკურ ცხოვრებას შორის. იმისათვის, რომ მაღალ სულიერ დონემდე აღზევებული ეროვნება არ დაბერდეს, არ დაძაბუნდეს და ჭაბუკურ ენერგიას ინარჩუნებდეს, საჭირო რაოდენობა მოსახლეობისა ნიადაგ უნდა იდგეს მისი გაახალგაზრდავებისა და განახლების სადავეებთან, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებშიც კი წყვეტდეს კონტაქტს ბუნებასთან, მიწასთან და აღნიშნული ფუნქციის დაურღვევლად პერიოდულად ანახლებდეს ინტელექტუალური ცხოვრების სფეროს. სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებას შორის წონასწორობის მკვეთრ დარღვევას მრავალი ერი და ცივილიზაცია დაუქვეითებია, ან სულაც დაუღუპავს.

***

სულიერ საფუძველზე აღმოცენებული ერთადერთი მართებული დემოგრაფიული პოლიტიკა ესაა სვლა არა ძნელიდან იოლისა და ხელსაყრელისაკენ, არამედ პირიქით, ხელსაყრელიდან ძნელისაკენ, ან ძნელის ხელსაყრელად ქცევისათვის.

***

მხოლოდ მთასთან ნიადაგ მორკინალი, მთასთან შეგუებული მოსახლეობაა საწინდარი ქართველი ხალხის არდაბერებისა, მისი ენერგიის უშრეტობისა.

***

მხოლოდ ბოლომდე ათვისებული საქართველოს მთიანეთი იძლევა ნაღდ გარანტიას მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის დარგთა სრულყოფისათვის ჩვენში. ეს გახლავთ ძნელად მისაღწევი, მაგრამ ამ რეგიონში ერთადერთი გზა ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისა.

* * *

მთებშია კონცენტრირებული უჩვეულო სიზვიადე, სიწმინდე, სილაღე, მონუმენტალური მშვენიერების, აღფრთოვანების, განცვიფრების, სიმაღლისა და უსაზღვროობის განცდის შესაძლებლობანი. თუ ბუნება ზღვსთან გენიალური ფერმწერია, არანაკლებ გენიალური მოქანდაკეა იგი მთებში. უფრო მეტიც, არსად ისე არ იგრძნობა ექსპრესიულობა დედამიწისა, მისი მისწრაფება აღზევდეს საკუთარ ბუნებაზე, ამაღლდეს საკუთარ თავზე, გაწყვიტოს ზღვართა ბორკილები და მისწვდეს ვარსკვლავეთს, როგორც მთებში. ოდესღაც ცისკენ ატყორცნილი გრანდიოზული ცეცხლოვანი მასსები ცეცხლადვე მოგიზგიზე დედამიწისა გასაოცარ ჟესტებად გაიყინნენ. ყალყზე შემდგარნი და გასაფრენად გამზადებულნი თუმცა ვერ მოსწყდნენ მიწას, მაგრამ სამუდამოდ აღიბეჭდეს საკუთარ თავზე აღზევების დაუოკებელი წყურვილი.

* * *

ქართველ ხალხს ხელეწიფება დამოუკიდებლად არსებობა, რომ ამგვარი არსებობა სიკეთეა ნებისმიერი ერისათვის, რამეთუ მასში მსოფლიო სამართლიანობა გამოსჭვივის.

* * *

დაე, რუსეთი იყოს უკანასკნელი იმპერია და სხვა ახალი იმპერია რომ არ აღმოცენდეს, სჯობს არ დაინგრეს, არამედ თავად განაცხადოს უარი იმპერიობაზე, როგორც ოდესღაც დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა განაცხადეს. მანამდე კი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დაპყრობილმა ქვეყნებმა გადარჩენისა და ეროვნული აღორძინებისათვის უნდა იბრძოლონ, რადგან რა თავში იხლი დამოუკიდებლობას, თუკი აღარ იარსებებ როგორც ერი.

* * *

მხოლოდ დამოუკიდებლობაში თანასწორობაა ჭეშმარიტი თავისუფალი ნებისა და ერთაშორის ნებაყოფლობით კავშირების საწინდარი, მოისურვებენ თუ არ მოისურვებენ ამას დაპყრობილი ერები, რუსეთს მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – მისი ხელისუფლების ერთადერთ სურვილად იმპერიის კონფედერაციად გარდაქმნა უნდა იქცეს. ამიტომაც სრული დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭოს მან მის მიერ დაპყრობილ ერებს, რაც უპირველეს ყოვლისა, მათი ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანით უნდა გამოიხატოს. უნდა დააჩქაროს რუსეთმა ეს პროცესი, რათა თავიდან აიცდინოს ყველა დროის იმპერიებისათვის გარდუვალი ხვედრი, რომლის ულმობლობას, საყოველთაო ტოტალიტარიზმისა და ჯერარნახული ცენტრალიზაციის ჯოჯოხეთური სისტემაც კი წინ ვერ აღუდგება. ამის შემდეგ კი უნდა იცადოს მონანიე რუსეთმა, მოისურვებენ თუ არა თავისუფალი ერები მასთან კავშირის დადებას კონფედერაციის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარი მეტამორფოზა იხსნის მას სულიერი კრიზისისა და ფიზიკური განადგურებისაგან.

* * *

ჭეშმარიტი ლიტერატურა არ არსებობს თავისუფლების, გულისნადებისა და ნააზრევის უშიშრად და თამაშით გაცხადების გარეშე, რადგან არა ხმაჩაკმენდილი ყმებისა და ლაჩრების, ოდითგანვე ვაჟკაცების საქმე ყოფილა იგი.

* * *

ოთხი ელემენტი, ოთხი სტიქია განუწესა უფალმა ღმერთმა ადამიანს დედამიწაზე: ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა.

შეიბღალა და გამოიფიტა ნიადაგი, დაბინძურდა წყალი და ჰაერი. ოთხი ელემენტიდან ერთადერთი ცეცხლიღა დარჩა შეუ-

ბილწავი. მხოლოდ იგი ვერ შერყვნა ადამიანის ხელმა, რამეთუ არავის იკარებს დაუსჯელად (თუმცა უგუნური ადამიანის გონება აქაც ცდილობს ცეცხლის საიდუმლოში შეღწევას და წყალბადის ბომბის წარმოებით მისი სიწმინდის შებღალვას). ცეცხლი არა თუ იკარებს უწმინდურებას, დასაბამიდანვე ბიწიერისა და უკეთურის დასაწვავად და განსასჯელადაა მოვლინებული დედამიწაზეც და განსაწმენდელშიც.

* * *

მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი დედამიწის ატმოსფეროს ვულკანური წარმომავლობა. ცნობილია ისიც, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბოროტად გამოყენება დღეს-დღეობით უმთავრესი მიზეზია ატმოსფეროში ჟანგბადის შემცირებისა. ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს და ჟანგბადის გამუდმებულმა კლებამ შეიძლება მასიურად გამოაღვიძოს მიძინებული ვულკანები, რაც თანამედროვე მსოფლიო ომზე არანაკლებ მსხვერპლს გამოიწვევს. ბუნება იძულებული იქნება შეიტანოს ამგვარი კორექტივი, გამოასწოროს ატმოსფეროში კაცთა უგუნურებით გამოწვეული შეუსაბამობა და ამით დედამიწაზე სასიცოცხლო პროცესების მოსპობას შეუშალოს ხელი. ბუნებაში ხომ ყველაფერი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ერთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მეორე, მოულოდნელი და სახიფათო.

* * *

ეკოლოგიური პრობლემა, როგორც დედამიწის ზურგზე არსებულ პრობლემათა შორის ყველაზე გლობალური და საჭირბოროტო, ყველაზე მეტად განაზრახებს ხალხებს ურთიერთმომთმენიანობისათვის და აიძულებს სახელმწიფოებს ისწრაფონ მშვიდობისაკენ, ურთიერთშეთანხმებისაკენ, სხვადასხვაგვარ

ამბიციათა დათრგუნვისაკენ. ეს პრობლემა მოაგონებს ყველას, რომ დედამიწა ერთადერთი, ამასთან საერთო თავშესაფარია მთელი კაცობრიობის წუთისოფლის სარბენ გზაზე.

* * *

ბუნების ზეგავლენა ხელოვანზე შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ კონკრეტული, ასევე იდუმალი, მისტიური, რაც გამოიხატება ბუნების მიღმა არსებულ ძალთა მაინსპირირებელ ზემოქმედებაში, რომელნიც განსაკუთრებულ ადგილებში, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ადგილის დედათა მეშვეობით პოულობენ ფიზიკურ სამყაროში გამოსასვლელს და შესატყვისი ხედვისა და სმენის მქონე ადამიანებთან კონტაქტის შესაძლებლობას.

* * *

სამცხე-ჯავახეთში თითქმის სამასწლიანი ბატონობისას, ქართველთა ძლიერების შესასუსტებლად თურქებმა მრავალი ოჯახი აჰყარეს ახალციხიდან და შუა თურქეთში მიმოფანტეს, ხოლო მათ ნაცვლად სომხები ჩაასახლეს. დემოგრაფიული აჭრელება დაპყრობილი ხალხებისა ნიადაგ ყოფილა იმპერიების მიერ ერთა დასუსტებისა და დამორჩილების უმთავრესი საშუალება, რასაც რუსეთის იმპერია კიდევ მეტის წარმატებით ახორციელებდა. მთავარმმართებელის, პასკევიჩის ხელით მან სამცხე-ჯავახეთიდან აჰყარა და შუა თურქეთში გადაასახლა მრავალი გამუსულმანებული ქართველი და მათ ადგილზე თურქეთში მცხოვრები 30 000 სომეხი ჩაასახლა, რითაც ფრიად დაარღვია დემოგრაფიული წონასწორობა მოცემულ რეგიონში. რას წარმოადგენდა ამგვარი მოქმედება, ისე ვით იმავე რუსთაგან აფხაზეთის დემოგრაფიული აჭრელება და მარნეულ-ბოლნისის მხარის აზერბაიჯანიზაცია, თუ არა წმინდაწყლის წინასწარგანზრახულ რუსიფიკატორულ

პოლიტიკას, რამეთუ აღრევისა და შერწყმის მიზნით დემოგრაფიული აჭრელება ასუსტებდა ეროვნულ მთლიანობას და განუსაზღვრელად ზრდიდა აღნიშნულ ადგილებში რუსული ენის პრიორიტეტს.

***

როცა საუბრობენ ღმერთზე, დაუშვებელია იგულისხმონ რაიმე სხვა, გარდა ღმერთისა, რომელიც ეკუთვნის ყველა ერს, მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ერთაშორის ქრისტიანული ჰარმონიის დამყარება ურთიერთდამოკიდებულებისას ჰგულისხმობს ადამიანისა და ეროვნებათა უფლებების სრულ უზრუნველყოფას მსოფლიო სამართლიანობის საფუძველზე. ამასთან ჭეშმარიტი რელიგიის საფუძველზე სხვა ერების სიყვარული და პატივისცემა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთი წუთითაც უნდა შევურიგდეთ ვინმე გადამთიელთა მიერ ჩვენი ერის დამონებას. ღვთის სიყვარული და მისგან გამომდინარე ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი როდი ჰგულისხმობს როდესმე თავი ავარიდოთ ეროვნული უფლებებისათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

***

მუდამ შეუპოვარი ვიქნებით საქართველოს უფლებების დაცვისა და მისი სახელმწიფოებრიობის ნორმალიზების საქმეში, ძირს არ დავუშვებთ ქართული ენის დიდების დროშას. ან რად არ უნდა გავწიოთ ჭაპანი, სიკვდილის შვილთათვის ღირსებად შესარაცხი, რაც ჩვენ ოდითგან შევქმენით და დედის ნანასთან ერთად შევისისხლხორცეთ, რაც საკუთარი სისხლით გავაპატიოსნეთ, ათას ქარცეცხლში გამოვატარეთ და თვალისჩინივით შემონახული, დღემდე ღირსეულად მოვიტანეთ?

* * *

არის რაიმე ქვეყნად სიქველეზე, ან ამაღლებულ სიყვარულზე ზეეროვნული, რომლის წინაშე ყოვლად უსუსურია გამთიშველი ძალა ნაციონალური, რასსობრივი და წოდებრივი ანტაგონიზმისა? ზეეროვნულია ლაჟვარდოვანება ცისა და ელვარე ვარსკვლავეთი, თავად სიკვდილი და უკვდავება სულეთში.

* * *

ისტორიისადმი ქრისტიანული მიმართება ჭეშმარიტად სიმპათიის გამაღვივებელია ხალხებს შორის, ვინაიდან ნებისმიერი ერის წიაღში და ნებისმიერ დროში მცხოვრები, სულზებორკილდაუდები ინდივიდუალობებისათვის წაშლილია დროისა და სივრცის საზღვრები. მათი მეშვეობით ისტორია ნიადაგ მოქმედებს ადამიანებზე. სულისშემძვრელია ეს ზემოქმედება, რადგან მათი სახით ოცნებაში ადამიანი საკუთარ თავსაც ხედავს სულზე ბორკილების გარეშე. ასე განიცდის იგი დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ინდივიდუალობების მეგობრობას, რომელიც ზოგჯერ თანამედროვეებთან მეგობრობაზე უფრო სულიერია, ღრმა და ინტენსიური, რადგან ამგვარ ურთიერთობაში გამორიცხულია ლექი ცხოვრებისეული წვრილმანებისა. მარადიული ღირებულებების შეცნობით წარსულში ისტორია გვასწავლის თუ როგორ უნდა ვეძიოთ, ვპოვოთ და დავაფასოთ ღირსებანი თანამედროვეთა შორისაც. აბა, როგორ განიშორებ შურისა და მეტოქეობის მწვირეს, თუ კეთილგანწყობისა და პირუთვნელობის უნარს გარდასული დროის სიქველეთა ემბაზში განბანვით არ მოიპოვებ? გარდაცვლილთა შორის ღირსებათა ვერმომძიებელი, ვერც ცოცხალთა შორის აღმოაჩენს მას. ხორციელთა ღირსებების ვერდამფასებელი კი ამაოდ ნუ ეცდება „ზესთ მწყობრთა მწყობრისად შერთვას“.

* * *

არ უნდა დაგვავიწყდეს: სითბო და სიცივე, სინესტე და სიმშრალე, ოკეანეები, ზღვები, მდინარეთა დამაპურებელი მთების მარადიული ყინულოვანი ჯავშანი და ცხელი გამოხუთული უდაბნოები იმგვარადაა განლაგებული დედამიწაზე, რომ მათგან გამომდინარე ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებანი ქმნიან და აწესრიგებენ ცხელი და ცივი ქარების და ზღვის დინებათა მიმართულებებს და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს, ხოლო ადამიანის სიცოცხლე იმდენად განუყოფელია ოდესღაც დაკანონებული კლიმატური პირობებისაგან, რომ ბუნების სფეროში მის მიერ შეტანილი ყოველგვარი მოუფიქრებელი, ზემოაღნიშნული ურთიერთკავშირების დამარღვეველი ცვლილება აღუწერელი უბედურების მიზეზი ხდება. ამგვარ ცვლილებას წარმოადგენს ნებისმიერი ხელოვნური გაფართოება წყლის ზედაპირისა დიდი მასშტაბებით.

* * *

ქრისტიანობა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, იგი ჯერ ადამიანთმსახურებაა და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება. ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, თუკი მეტ ქრისტიანად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა რელიგიის წარმომადგენელი, რომელიც ადამიანთმსახურებაში ქრისტიანული ღვთისმსახურების მიმდევარზე მაღლა დგას.

* * *

როგორც კეთილსინდისიერი ექიმია ნებისმიერ სიტუაციაში მზად დაუბრკოლებლად გაეშუროს ავადმყოფისაკენ მის განსაკურნავად, ასევე უნდა იყოს ჟურნალისტი ნიადაგ შემართული ჭეშმარიტი, ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტების მოსაძიებლად, მათ გასაშუქებლად პირუთვნელობისა და მიუკერძოებლობის ნათელში.

* * *

შორს ჩვენგან ყველანაირი ამბიციურობა და მზვაობრიობა. მივუტევოთ ურთიერთს პირადი წყენა, თუ ოდესმე გამოვლენილი სისუსტენი. სახარებისეული ფეხთბანვის სიმდაბლე მაგალითად ვაქციოთ და ურთიერთის ჭეშმარიტ მსახურებას ვესწრაფვოთ. გვახსოვდეს: უზაკველობითა და სიწრფელით ურთიერთისათვის მხარის გამმაგრებელნი, ურთიერთისადმი სიყვარულითა და პატივისცემით განმსჭვალულნი ქრისტეში ვმკვიდრდებით, ქრისტესთან ერთად კი სამყაროს შემოქმედ მამაში.

* * *

ისტორია ცხადჰყოფს: სახელმწიფოთა შორის ტერიტორიალური გადანაწილების ერთადერთ საფუძველს, ისე ვით მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებრივი საზღვრების ოდითგან დამდგენს, მხოლოდ ომი წარმოადგენს. მარტოოდენ გამარჯვებული სახელმწიფოების ძალმომრეობა, ანუ ულტიმატუმი ყოფილა ნიადაგ ზავის დადებისას ამგვარი გადანაწილების მიზეზი.

* * *

სადავო ტერიტორიები მუდამ ყოფილა მომავალი განხეთქილებების, შუღლისა და სისხლისმღვრელი ომების საბაბი.

* * *

არმია სახელმწიფოებრივი, ეროვნების განუყოფელი, ორგანული ნაწილია და მოწოდებულია დაიცვას მშობლიური მიწისა და საკუთარი ხალხის ღირსება. მოქალაქის საუკეთესო თვისებები, პატრიოტული მოვალეობის აღზრდა წარმოუდგენელია ნაციონალური არმიის გარეშე.

* * *

ვერც პრეზიდენტი, ვერც ნებისმიერი სამთავრობო კაბინეტი ვერ იძლევა ერთა სახელმწიფოებრიობის იმგვარ გარანტიას, როგორც ძლიერი ნაციონალური არმია.

* * *

საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივი უფლებების განმტკიცებით ეროვნული მეობის განმტკიცება, თვითდამკვიდრებისა და პარტნიორ სახელმწიფოებთან გულწრფელი დამოკიდებულების ერთადერთ საწინდარად მიგვაჩნია. მხოლოდ ეროვნული არმიებით თვითდამკვიდრებულ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეიძლება ნაღდი, უმლიქვნელო მეგობრობა. სხვაგვარად შეუძლებელია საკუთარ ჭერქვეშ საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა და ჭეშმარიტი მასპინძლობა.

* * *

ქუდზე კაცის დაძახება გამუდმებით უხდებოდა მთელი ისტორიის მანძილზე ქართველ სარდლობას. ამადაც ვაჟკაცობაში გამუდმებით იწრთობოდა ერი. დღეს კი, ამ სიმართლედაცლილი მშვიდობის სიმდოვრეში, წელკავმა და ღიპმა დააძაბუნა ოდესღაც დუშმანის თავზე რისხვის დამთენებელი ქართველი მამაკაცი. მას აშკარად აკლია სულისა და სხეულის წრთობისათვის აუცილებელი ეროვნული არმია.

* * *

დავუბრუნოთ სიყვარულის უფლება პატიმრებს, რაც გამოიხატება მათთვის ახლობლებთან პაემანთა რაოდენობის გაზრდაში. გული უფრო გულობს, ოდეს თვალი თვალს ხედავს. და სადაც გული გულობს, იქაა ადამიანობაც, ოჯახის სიმტკიცეც და, ამ სიმტკიციდან გამომდინარე, ერის ძლიერებაც.

***

პაემანთა სიმცირის გამო მარტოოდენ პატიმრები როდი ისჯებიან, არამედ მათი ახლობლებიც, თავისუფალი და უდანაშაულო ადამიანები. მათ ხელ-ფეხი ებორკებათ, რამეთუ წართმეული აქვთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ახლობლებზე ზრუნვის უფლება. ამან კი თანდათანობით შესაძლოა გულგრილობა გააღვივოს, რასაც ათასი გაუთვალისწინებელი უბედურება და თვით ოჯახების დაშლაც კი შეიძლება მოჰყვეს. თავის მხრივ, ახლობელთაგან მიუხედავმა და ამით სვებედგამწარებულმა, გაბოროტებულმა პატიმარმა შესაძლოა სავსებით აიღოს ხელი თვითკონტროლზე და უფრო მეტად გადაეშვას ცოდვათა მორევში.

***

მე მიმაჩნია, რომ საქართველოში ინტრიგები, რომლებიც ოდესღაც სხვადასხვა კუთხეებს და სამთავროებს შორის მიმდინარეოდა, დღეს გაგრძელდა არაფორმალურ ორგანიზაციათა შორის ე. წ. ორგანიზაციული პატრიოტიზმის დონეზე. აი, ეს არის, რამაც ჩვენ მიგვიყვანა სისხლისღვრამდე და კიდევ მიგვიყვანს აგრეთვე სისხლისღვრამდე. ჩვენ ისეთ დღეში ჩავვარდებით, რომ ერთმანეთს ვეძებდეთ, ოღონდ ერთმა ქართველმა მეორე ნახოს და ხელი ჩასჭიდოს. აი, ასეთ დღეში ჩავვარდებით, თუ ინტრიგებს თავს არ დავანებებთ და თუ არ მოხდება ნამდვილი და სრული კონსოლიდაცია.

***

მაშ რისთვის არის საჭირო ამსოფლად ყოველმოსახვეჭელი, ყოველგვარი შრომა და გარჯა, თუკი ერთ მშვენიერ დღეს უმოწყალო სიკვდილი წარგტაცებს, ფიქრობდა ადამიანი და სულ უფრო მეტ სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, მაგრამ იესო ქრისტემ კაცობრიობას, ყველაზე კრიზისულ მომენტში, თავისი

განკაცებითა და მკვდრეთით აღდგომით მომავალში უკვდავების პერსპექტივა დაუსახა. გოლგოთის მისტერიამდელი განწყობილებების მშობელი კი ლუციფერი გახლდათ და ეს განწყობილება შესაძლოა დღესაც გააჩნდეს ადამიანს, სანამ იგი უშუალოდ ეზიარებოდეს ქრისტეს ნათელს.

***

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენთაგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში.

***

ეთნიკური კონფლიქტი საქართველოში მიწათმოქმედების სფეროზეც ვრცელდება. ბოლნისის, მარნეულის და გარდაბნის რაიონებში მოღალატე ქართველების მეშვეობით დატაცებულ მიწებზე აზერბაიჯანელები მიწათმოქმედების წმინდათაწმინდა კანონების დანაშაულებრივ შერყვნას ეწევიან და თბილისს აწვდიან ქიმიკატებით მოშხამულ პროდუქტებს. რაღა ტყვია გისვრია და რაღა საწამლავი მიგიწოდებია კაცისათვის, ისიც ამდენისათვის ერთად. ეს ქიმიკატები წამლავენ არა მარტოოდენ მცენარეებსა და მათი მეშვეობით ადამიანებს, არამედ სპობენ ცხოველთა პოპულაციებსაც, თევზს, ფუტკარს, აბრეშუმის ჭიას. ერთი სიტყვით, ისინი ღმრთივ მშვენიერი ბუნების დაუძინებელი მტრები არიან. ჩემი ღრმა რწმენით, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ უნდა იქნეს ახალი მუხლი, რომელიც ნაკვეთის ჩამორთმევით დასჯის მინერალური სასუქის ბოროტად გამომყენებელ პირებს, საერთოდ უნდა აღიკვეთოს მინერალური სასუქის სოფლის მეურნეობაში გამოყენება. მიწათმოქმედების მარადიული ტრადიციის მიხედვით,

ნიადაგი უნდა ნოყიერდებოდეს მცენარეული და ცხოველური სასუქით, რადგან ქართველი კაცის მტერი კონკრეტულ შემთხვევაში ღვთისა და ბუნების მტერიც გამოდის.

* * *

საკუთარი თავისა და ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების ბატონ-პატრონობა, დაგეგმარებისა და რესურსების განაწილების, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნების არჩევის თავისუფლება, ენთუზიაზმი და გამომგონებლობა, ინდივიდუალიზმით აღბეჭდილ თავისუფალ მწარმოებლობას რომ ახლავს თან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სავსებით ახალ განზომილებებს გულისხმობს, განზომილებებს, რომელსაც მარადიული ღირებულებების გვირგვინს დაადგამს ღვთის რწმენისა და სულის უკვდავების იდეა, მსოფლიო რელიგიის მიღწევები. ყოველივე ამას კი საფუძველი დღესვე უნდა ჩაეყაროს. ამის წანამძღვარები ახლავე ჩვენს სულში, ჩვენს ხასიათში უნდა ჩამოყალიბდეს. როგორც შედეგი ამ მძიმე, დაკაბალებულ მდგომარეობაში წარმოუდგენელ წინააღმდეგობათა დაძლევისა, ტიტანური ძალისხმევით შეუძლებელის შესაძლებლად ქცევისა, რადგან სასიკეთო ძვრები ღვთისა და ისტორიის წინაშე მარტოოდენ შეუძლებელთან ჭიდილით აღინუსხება.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ თინათინი და ავთანდილი ერთ სულისკვეთებას, ერთ პრინციპს გამოხატავენ, ეს გახლავთ სიბრძნისა და მოყვასისადმი თავდადების სულისკვეთება.

* * *

კურთხეულია ის ქვეყანა, სადაც ფეხი დაუდგამთ მოციქულებს და მით უფრო კურთხეულია, თუკი მკვიდრთა მისთა ყუ-

რად ულიათ სიტყვანი მათნი. ბედნიერია საქართველო წილხვ-
დომილი ღვთისმშობლისა, რამეთუ ორმა მოციქულმა იქადაგა
მის წიაღში სიტყვა ღვთისა, რითაც იმთავითვე რვალის სიმტკი-
ცე შეასახლა იბერთა სულში. ვის უნდა სცოდნოდა, თუ არა კავ-
კასიაში ღვთის მადლის მოსაფენად მოსულ ქრისტეს მოწაფეებს
საიდუმლო საქართველოს მისსიისა: რომ იბერია ოდითგანვე
იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს
შორის. არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას. იგი არა მარტო-
ოდენ სივრცულ, არამედ დროთა გამყოფს და განმწესებელსაც
წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარე-
ბას თავთავისი დრო ჰქონდა დადგენილი და მათი აღრევა არც
თითოეული მათგანის მისიისა და არც მსოფლიო კულტურის
განვითარებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან დაირღ-
ვეოდა ხალხთან, კულტურების თანმიმდევრულობისა და დროში
მონაცვლეობის პროვიდენციალური უქცევადობით აღბეჭდილი
ურყევი მსოფლიო კანონი.

* * *

კავკასიის კარიბჭის ჩარაზვა, ანუ თვითშენარჩუნების მძლავ-
რი იმპულსი ოდითგან მეზობელი ქვეყნების მიმართ არააგრესიუ-
ლი, მაგრამ აგრესორთა წინააღმდეგ ნიადაგ მედგრად მებრძოლი
საქართველოსი თითქმის გამორიცხავდა სკვითეთში სამხრეთელი
ხალხების შეჭრას, რითაც იბერიის სამანებს გაცილებული ქრის-
ტიანული მისსია საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა. დიახ,
ვიდექით როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაწეული ფორ-
პოსტი ქრისტიანობისა და ვაკავებდით ისლამურ ურდოებს. ჩვენს
ფარზე ბლაგვდებოდა სიბასრე მათი მახვილისა, ჩვენ ვაცლიდით
მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს. ჩვენს გამო ვერ მი-
აღწიეს რუსეთამდე არაბთა, სპარსთა და ოტომანთა იმპერიის
ურდოებმა. ქრისტიანულ რელიგიას თითქმის არ განუცდია რუ-

სეთში დევნა. მაგრამ ზემოხსენებული ურდოები რომ შესეოდნენ რუსეთს, შესძლებდა კია იგი ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნებას?

* * *

მსოფლიო იცნობს ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომების ისტორიას, მაგრამ არსებობს მუდმივი, უვადო ომი, ეს არის საქართველოს ისტორია. აქედან გამომდინარე, ქართული კულტურა არის საბრძოლათაშორისო შესვენებების კულტურა. ხმალი, წიგნი და ისევ ხმალი! ამგვარი ცხოვრება ყოფილა საქართველოს ხვედრი. დავით აღმაშენებელისეული ხელოვნება ხმალიდან წიგნზე და წიგნიდან ისევ ხმალზე გადართვისა, თამამად შეიძლება მთელი საქართველოს ბედ-იღბალსა და განვლილ გზას შევუსატყვისოთ. და ეს მახვილი აროდეს ჰკავებია აგრესორის ხელს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიწაწყლის, ღირსებისა და კულტურის დამცველს. ამადაც საუკუნეების მანძილზე ეულმა და ევროპისაკენ სავსებით მოწყვეტილმა ქვეყანამ დაუყვედრებლად დაიმსახურა ის, რისთვისქაც თავი შეინარჩუნა – ევროპის, ანუ გლობალურ კულტურასთან და ცივილიზაციასთან ზიარება, მასთან გათანასწორება და საკუთარი, თავისთავადი მყობადის საიმედო პერსპექტივა. ეს გახლავთ საქართველოს ღირსთა მამათა, უამრავ მოწამეთა და გმირთა დამსახურება, რომელთაც სახელი ქრისტეს მცნებისა კლდესა ზედა დააფუძნეს.

* * *

ადამიანს რაოდენ მახვილი ხედვაც არ უნდა ჰქონდეს, ანალიზისა თუ სინთეზის, თანაგრძნობისა თუ გულმოწყალების უნარი, საკითხთან მწვავე, უშუალო დამოკიდებულების გარეშე მაინც არ ძალუძს მისი ძირამდე ამოცნობა, კონკრეტულ შემთხვევაში ამ დიდი უნარების ბოლომდე რეალიზება. მხოლოდ პიროვნების უშინაგანესი ნაწევარით გამობრძმედილი გამოც-

დილება გვიბიძგებს იქით, საითკენაც თანაგრძნობით აღვსილი ფიალა უნდა გადმოიღვაროს. ადმინისტრაციის ბიუროკრატიულობისა თუ სხვა მიზეზების გამო შესაძლოა ნებისმიერ სახელმწიფოში დაიჩაგროს პიროვნება და ამგვარი ჩაგვრის სიმწარე ამ ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ განიცადოს, მაგრამ ეროვნული ჩაგვრის მწვავე განცდა მხოლოდ დაპყრობილი ქვეყნის მოქალაქეებს თუ ძალუძთ. ეს გამოცდილება და დამპყრობელი ერის თუგინდ დიდად ჰუმანისტი მოქალაქის თანაგრძნობა ძნელად თუ გახდება ფარდი, რადგან იოლი როდია საკუთარი თავივით განიცდიდე სხვა ადამიანების გასაჭირს. ისიც ცნობილია, რომ მრავალი მხოლოდ საკუთრივ განცდილი ავადმყოფობის შემდეგ თუ დაჰკვირვებია კონკრეტულ დაავადებას, მისი არიდებისა და მკურნალობის ხერხებს. ასევეა დაპყრობილი ერის მოქალაქე. იგი უკეთ იცნობს დამპყრობელის ფსიქოლოგიასა და ხვანჯებს. მხოლოდ დაპყრობილი ერის წარმომადგენელს ძალუძს თვალნათლივ დანახვა, რუსული ეროვნული პოლიტიკისა მთელის სიგრძე-სიგანით, პატარა მეზობელი ერების ურთიერთზე მისევისა და გადაკიდების იმ ფარული მექანიზმების შეგრძნება, რომელსაც ეს პოლიტიკა იმავე ერების იავარსაყოფად, მათი ეთნიკური აჭრელებისა და ასიმილაციისათვის ახორციელებს.

* * *

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ბედი მთლიანად ინტელიგენციის ხელშია, რომელმაც სასურველია გაანელოს გარდასული ამბებისადმი ვნება, რათა ძველის გახსენებით ახალი არ გამოიწვიოს. საკითხავია, ემიგრანტები, ამჟამად რომ სომხებს მიერთვნენ, შესძლებენ იქ დასავლური ჰუმანიზმისა და ჯანსაღი ინტერნაციონალიზმის გაღვივებას, სხვისი მიწებისა და სახელის მითვისების მოსურნე თანამემამულეთა დაშოშმინებას? ჩვენ გველოდება თავისუფალი საქართველო და თავისუფალი

სომხეთი, მომავალში ჩვენივე ხელითა და ჩვენივე მსხვერპლით აღმოცენებული. მხოლოდ მესამე ხელის ფათურის გარეშე თუ მოვაგვარებთ მწვავე საკითხებს სიმართლისა და ობიექტურობის ნათელში. აი, იქ უნდა ვიდგეთ სიმაღლეზე ურთიერთდამოკიდებულებაში, რათა ჭეშმარიტად დავიმსახუროთ თავისუფლება.

* * *

განა შეიძლება რომელიმე ერის წარმომადგენელი იქცეს მსოფლიო მოქალაქედ, თუკი არ გამოიბრძმედება საკუთარი ერის კულტურისა და ყოფის ქურაში, არ განარჩევს კეთილსა და ბოროტს საკუთარი ქვეყნის ქმედებათა მიმდინარეობაში და საბოლოოდ არ დადგება კეთილის მხარეზე. განა ბუნებრივია ერის ორგანიზმიდან სოციალურად განთვისებული იქცეს მსოფლიო სოციალური ორგანიზმის სრულუფლებიან წევრად, ეგოდენ აღზევდეს წინამდებარე ხარისხის გამოუვლელად. ამიტომაცაა აუცილებელი სხვის მიწათა მპყრობელი ერის მოქალაქეთათვის ეროვნული მონანიების გრძნობა. იგია მათთვის ერთადერთი მკურნალი, რადგან მონანიება და კათარზისი კონკრეტული დანაშაულის შეგნებით იწყება. დანაშაული არ არის თუნდაც პასიურ მოწმედ დარჩენა, წაყრუება შენი დამპყრობელი მთავრობის, შენივე მოქალაქეთა ბოროტმოქმედების მიმართ? განა ეროვნული დანაშაულის გრძნობით აღვსილი სხვა ერთა შვილების წინაშე არ გრძნობს თავს სირცხვილეულად? განა ამით არ იწყებს იგი ეროვნული შეზღუდულობის გარღვევას მორალის სფეროში და მოყვასად არა თუ თვისტომთა, გადამთიელთა მიჩნევასაც (მხოლოდ აზროვნებაში ყოვლისმომცველობით ვერ გადაილახება ამგვარი შეზღუდულობა), ჭეშმარიტად ერისზემორე სივრცეებთან ზიარებას?

* * *

ეროვნულ და პიროვნულ მონანიებას შორის არ არსებობს ზღვარი მისთვის, ვინ მოყვასის თვალზე მეტად საკუთარ თვალში დაეძებს მწიკვლსა და დირეს.

* * *

რუსეთის საუკეთესო შვილებმა თანდათან იწყეს ქაოტურ ემოციათა დაწმენდა ეროვნული სირცხვილის ცეცხლით, ერთადერთი გზა რომაა დამპყრობელი ერის მოქალაქეთათვის მსოფლიო მოქალაქეობისაკენ. ვაგლახ, ჯერაც ცოტანი არიან ამგვარები და ჯერჯერობით მარტოოდენ აქა-იქ თუ ბჟუტავს ეს ცეცხლი. ლენინის „ისკრიდან“ გაღვივებული ყოვლისმომსვრელი რევოლუციური ცეცხლი როდია იგი, არამედ ოდესღაც სამყაროს საფუძვლად დადებული, ხოლო ამჟამად კაცთა წიაღში შთასული სინდისის ცეცხლი; მთელი მსოფლიო, მით უმეტეს დაპყრობილ ერთა მოქალაქენი მოულოდნელად მოელიან მომავალში ამ ცეცხლიდან ხანძრის აგიზგიზებას, რადგან, ჭეშმარიტად, სჯობს ეროვნული სირცხვილის ცეცხლმა გაალღოს შიგნიდან ნაციონალური მესსიანიზმისა და ტოტალიტარული გამყინვარების ციტადელი, ვიდრე გარედან სხვა უფრო უხეშმა ძალამ უმოწყალოდ მოსრას იგი. შემზარავი იქნება მაშინ მსოფლიო შურისგება! ორთაგან ერთ-ერთი კი გარდაუვალია!

* * *

იდეები ადამიანებს უნდა ემსახურებოდნენ და არა პირიქით, მხოლოდ იქ აღიმართება სწორხაზოვნების და ფანატიზმის ყრუ კედელი, სადაც იდეას ან იდეოლოგიას სოციალურ ცხოვრებაში გატარებისას ადამიანზე მეტად შეიყვარებენ, როდესაც ავიწყდებათ რომ ყოველივე, თვით ზეცა და მიწა და ერთად აღებული ყველა იდეა, ადამიანისათვის შეუქმნია უფალს.

* * *

დადგა დრო, სამუდამოდ უარი ითქვას იმ იდეებზე, რომლებმაც არ გაამართლეს, რომლებიც ყოველთვის ხელს უწყობდნენ და ამჟამადაც უწყობენ ხელს დაძაბულობის ზრდას დედამიწაზე, რამდენადაც თავისსავე თავში შეიცავენ ომს. პირველ რიგში, ყოველივე ამაზეა დამოკიდებული ადამიანის და ერების უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა.

* * *

თავად ჟურნალისტობა უთუოდ მწერლობაში ხელმოცარვა იქნებოდა, სიმართლისმაძიებლობა ხიფათისმაძიებლობამდე, რისკისა და უკიდურესი გაბედვის სიმაღლეებამდე რომ არ აჰყავდეს. ეს ალპინიზმი და მოპირულ ხმლებზე სიარული მწერლობაში მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება დიდი ბელეტრისტიკის ტოლფასი გახდეს. რას ემგვანება იგი, ცხენს გასაქცევად რომ ჰკაზმავდეს, მეფეთა უსამართლო წყრომას არ იწვევდეს, გარეწართა უხამსობას არ აღიზიანებდეს, კეთილი ნების ადამიანთა გაერთიანებით ერთიანობის დაუძინებელ მტერს, ეშმას არ ამწუხრებდეს. ჭეშმარიტი ჟურნალისტობა უღრმეს კავშირშია რწმენასთან და ქრისტიანობასთან, იგი პრაქტიკული, ყოფითი ქრისტიანობის თანაარსია. ამიტომაც ლახვარივით უნდა ილესებოდეს თავისუფალი ჟურნალისტის სიტყვა და კალამი. ამ სიტყვის მსახური დაუყოვნებლივ უნდა მიეშურებოდეს ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო ფაქტების მოსაძიებლად, მათ გასაშუქებლად პირუთვნელობისა და მიუკერძოებლობის ნათელში. ციხე, სასამართლო, ნებისმიერი ინსტანცია, ადამიანისა და ერის უფლებათა დარღვევის ხელშემწყობი, მისთვის დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან მცირექმედითია ჟურნალისტი, ჭეშმარიტ სამართალდამცველად თუ არ იქცევა. ამაოდ დამაშვრალი, მარტოოდენ ცარიელი ფაქტების აღმნუსხველად,

ან მოლაყბედ დაშთება იგი. ამიტომაც მელნად მან საკუთარი სისხლი უნდა იხმაროს და უდრტვინველად შესწიროს ნებისმიერ უსამართლობასთან ბრძოლას. უფალს უნდა შესთხოვდეს სიმართლისმსახურების მადლსა და ძალას, როგორი ხიფათიც არ უნდა მოელოდეს ცხოვრების გზაზე, თუნდაც არ უწყოდეს, რომ სიმართლისათვის დევნილებს ეკუთვნით სასუფეველი ცათა, რომ საქმით მეტყველი სიმართლისმსახურება უკვე დედამიწაზევე დამკვიდრებაა სასუფევლისა, რომ სიმართლე თავად სასუფევლის ერთ-ერთი სინონიმია, რადგან დაუსრულებელი ცხოვრებით მხოლოდ მართალნი განისვენებენ.

* * *

ზიზღით გასტყორცნის ალესილ ნაჯახს,
ვინც სინანულის ბილიკს იპოვის.

* * *

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,
ვეშაპის მუცლით გასულ იონას
და აიაზმას გადაასხურებს,
როცა განწმენდის ჟამი იელვებს,
როცა იქცევა ყველა მსახურად,
როცა ფეხს დაჰბანს გადამთიელებს.

* * *

ვიცი, ვერსით აღუდგება
ვერა ზღუდე-კედელი,
ოდეს ბოროტს განუდგება
ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი.

* * *

ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში ვითა უხორცო.

* * *

იმედი იგი, ყოვლის მძლეველი,
მეოხად ჩვენდა შენგან ისახვის,
რადგან კაცთაგან შეუძლებელი,
შესაძლებელი არის ღვთისათვის.

* * *

ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს.
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.
უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

* * *

შემაძლებინე მაღალო ღმერთო
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.
მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი.

* * *

შენ თვალო სულიწმინდისა,
ადამის მოდგმის გაისო,
ცისკენ გამდებო ხიდისა,
სერაბინთ უზეშთაესო.
წინაშე ძისა შენისა,
მას დღესა განკითხვისასა
ნუგეშად გამოგვიჩნდი რომელი,
გვექმენი შუამდგომელი.

* * *

ასეა, ასე სიყალბის გუდაა კაცთა ისტორია.
ქაღალდზე ნაჯღაბნით სიმართლის ძალუმ ხმას
ძნელად თუ გაიღებ.
სიცრუის ხნარცვში და ჭორების მორევში თუ რამ სისწორეა,
ალბათ ის, რასაც წვითა და დაგვით იმ სოფლად წაიღებ.

* * *

რამ დაიმონოს სული პოეტის,
ელვა ხუნდებით ვინ ასაპყარა.
შენში სდუღს ხვატი უდაბნოეთის,
გარსის გამრღვევი სულის კამარა.

და ოდეს ვნებას ოკეანეთა
გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა,
სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა,
სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა.

* * *

მე, ოკეანე, არა თუ გარეთ,
ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ,
ნების მოჩლუნგებას განანებ მწარედ,
ვერ დამაოკებ და სასტიკად ინანებ.

* * *

ნერგს, ზეცით გადმორგულს ნუ დააზიანებ.
ცად მიბრუნებული გახსოვდეს ადამი.
ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ.
ვარდი დარგე და მოსთხარე ეკალი.

* * *

ატავიზმისგან ხელყოფილი თუ არ განახლდა,
და სამერმისო დვრიტად კაცში თუ არ ჩასახლდა,
წარსულს სინედლის სიო თუ არ მიეკარება,
გადაშენებით დასრულდება გადაგვარება.
თუ კაცი დროსა და სივრცეში ვერ რეაგირებს
და ვერ ასრულებს მიწის მკვიდრთა მთავარ პირობას,
ჭეშმარიტების წვდომას ტყუილად ნუ დააპირებს,
ვერ გაექცევა, ვერ წაუვა ბრმადშობილობას.

* * *

სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი
და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია
მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი,
წმინდათა წმინდა საკურთხევლად თუ არ აქცია.
დაღვრილი სისხლი თუ ითხოვდა დღემდე საზღაურს,
ხვალ თანამდებთა მიტევება განიდიდება.
უბირი მონა ცხოვრებაში ეძებს სასწაულს,
თავისუფლების მეტრფე მხოლოდ ჭეშმარიტებას.

* * *

განა ღმერთს ჰყვარობს, მოძმეს თვისას პატივს ვინც არ სცემს.
მართალთა შორის განა არის ის შესარაცხი?
ვინაც მიითვლის მარტოოდენ და არ კი გასცემს,
გაუმდინარე ტბას მაგონებს ამგვარი კაცი.

* * *

ლექსი სიტყვებში ჩაწნეხილი სულია თავად,
მოყვასისათვის გაღებული საღვთო ზვარაკი.
ლექსია კაცში წარუვალთა ძალთა ქმედება,
სიტყვების ჩრდილში გავლებული სამზეო ხნული.
იგია სულის ხორცთა ზედა გარდამეტება,
და ღაღადისი სისავსისგან აღძრული გულის.
დე, მოძმისათვის ძგერდეს ისევ გული საუფლო,
შემინდოს, ფიქრად ჩამოწნული თუ ამბად მომყავს.
სისავსისაგან მოღაღადემ მსურს ვესაუბრო
და ამიტომაც ლექსით უნდა გავენდო მოყვასს.

* * *

სადაც ხელმწიფე უღირსია, ცუდათ ირჯება,
იქ თვით ქურუმთა წინამძღვარიც უმაქნისია,
იმ ქვეყანაში ხალხიც მალე შეიბილწება,
ყოფა ტახტის და საკურთხევლის შესატყვისია.
იდუმალების დასწყვეტიათ წყარო ცოდვილთა,
სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ,
ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ,
ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა.

* * *

ჰოი, თბილისო შენს დიდებად მთაწმინდა კმარა,
იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს,
მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა,
ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა-დავითის.

* * *

აღსასრულებლად თუნდ იყოს ძნელი,
ღმერთმა ხელი ნუ აგვაღებინოს,
რომ საქმე, თითქმის შეუძლებელი,
ამ სიყვარულმა შეგვაძლებინოს.

* * *

თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს,
კიდევაც შესძელ ტანჯვის ატანა,
შესძელ ალაგმო შენში გურმანი,
გაავებული როგორც სატანა.
შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად,
ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გეღვრება ვით ცხელი ტყვია,
თავს დასტრიალებს სიკვდილის ცელი.

* * *

სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას,
თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი,
ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა,
შემაზრზენ შიშად თუ არ გექცევა,
მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა,
გარეშემოთა და შენდა ბედად,
კვლავაც აგღმართავს ხელთუქმნელ სვეტად,

ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად
მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს,
რომ შიმშილობა ბოლომდე განდობს
საიდუმლოთა დიდთა სიკეთეს.

* * *

სიქველეს ფრიადს ვერ ჰგუობს შური,
რძისმიერ ნაწარმს – სიმჟავე მძაფრი,
იხრწნება ხორცი, ობდება პური,
არვის უხილავს ხრწნადობა თაფლის.

* * *

ხელახლა ბალღად თუ არ ვიქეცით,
სასუფეველში ვერ შევალთ ისე.

* * *

საქართველოსაც ხომ ერგო რიგი,
ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს,
საოცრებათა გრაალი იგი,
წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს.

* * *

ვით მეფეს, ძლიერს და გვირგვინოსანს,
უნდა ძალედვას ჭეშმარიტ მგოსანს
დამორჩილება ბოროტი ძალის,
პოეტს ვერ დაცდის მაცდურის თვალი.
გამოუცდელთა მაცდურ დაიმონს
ვინც მოუდრიკა მონურად ქედი,
ვინც ბნელს და ბოროტს ვერ დაიმონებს
რა პოეტია, ან შემოქმედი?

* * *

განკაცებული თუ არ მოკვდები,
როგორ იქცევი აღდგომის კაცად?
ბოროტის ცნობა თუ არ გექცევა
დედამიწაზე მიღებულ ჩვევად,
სულეთში ვერსად ვერ გაექცევი,
იქ სულ ვერ შესძლებ მის გამორჩევას.
სთქვა ღვთისმეტყველმან, ნათლით ცხებულმან,
ვინც სიქველეთა უწყოდა რიგი,
ვინც ქრისტეს არ სცნობს განკაცებულად,
ეშმაკისაგან არისო იგი.

* * *

პოეტის გული გულია მისნის,
ჩვილი ბალღივით ყოვლის მიმნდობი.

* * *

სიკვდილს თვალები იქ შეხვედრია,
სად უკვდავებას სჭედს შემოქმედი.

* * *

სივრცე, სხეულთა სიმცირის გამო,
უკმარისობის განცდაა მხოლოდ,
მისი აღვსებით ყოველი ლამობს,
ამ ილუზიას მოუღოს ბოლო.

* * *

მხოლოდ სულია თვისი არსებით.
ყველგან მყოფი და ყოვლის აღმვსები.

* * *

თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფეველი,
უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი,
ისე ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე.

* * *

რად გინდა საწუთროს ამაო დიდება,
მპარავი წაიღებს,
არ დაგერიდება.
უსაგნო მიზნისთვის ხელი რად გაიღე,
საწუთროს დარჩება,
ქურდივით წაიღებს.

* * *

ჰოი, მოკლულნო, ნუ დაგზაფრავთ ნაიარევი,
ოდეს გაჰკვესენ ზეციური ელდის ზარები,
რამეთუ მოსჩანს ვით კამარა ცეცხლის ენისა,
ფენიქსებრ გზნება, გზა სიკვდილით გადარჩენისა.

* * *

მამულო ჩემო, კვლავ დადგა ჟამი
მაღალ ზრახვათა არ დაოკების,
დროა დაიმსხვრეს სატანის სკამი,
დროა მტარვალთა დაწიოკების!
დაე, აღენთონ შენთვის გულები
და ჩირაღდნებად დადგნენ ღამეში,
და გამხნევებდეს გრძნობა ულევი
შეწირულ სისხლის სიელვარეში.

***

თვითდავიწყების ჯადოსნური ენით მქადაგებელი პოეტები სწორედ რომ სირაქლემებს ჰგვანან.

***

წარსულის იერიშთა დავიწყების ფარით მოგერიება უდრის გამყინვარებას.

***

მოგზაურობის მოსურნე ცდომილთ ემსგავსება, ხოლო ერთ ადგილს დამკვიდრებისა და თვითჩაღრმავების მოსურნე – უძრავ ვარსკვლავთა.

***

არ დაგვავიწყდეს, რომ ცილისწამება „ათ მცნებაში“ მკვლელობის ცოდვიდან არც თუ ისე შორს იმყოფება.

***

ხალხების წარსულს მხოლოდ იგი არ აგდებს აინუნში, ვინაც არ უწყის რომ ისტორია ადამიანური ყოფის საიდუმლოებათა წვდომაა, რომ იგი ყველაზე უფრო აქტიური ადამიანების ბიოგრაფიათა ურთიერთგამსჭვალვაა, სურათი როგორც მაღალი იდეალების, ასევე ეგოისტური სურვილების ცხოვრებაში რეალიზების მცდელობისა და, აქედან გამომდინარე, სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ჭიდილისა, სკივრი ზნეობის უთვალსაჩინოესი მარგალიტებისა, ზნეობათა ჭეშმარიტი კიბე, სიკეთის ბოროტებაზე მორალური გამარჯვების წარმომჩენელი.

***

ისტორია გვასწავლის მარადიული ღირებულებების შეც-

ნობას, თუ რა უნდა დავთმოთ, ან მივიჩნიოთ სამაგალითოდ, ან როგორ უნდა ვეძიოთ, ვპოვოთ, ან დავაფასოთ ღირსებანი თანამედროვეთა შორისაც.

* * *

შურიანისთვის თავისი მომავალი შესაძლებლობანია ბნელით მოცული, ამპარტავნისათვის – საკუთარი წარსული.

* * *

მხოლოდ თვითშემმეცნებელი ადამიანის სულში გათამაშებული ტრაგედიაა ჭეშმარიტად ზოგადსაკაცობრიო ტრაგედია.

* * *

დიდი რომანისტი მხატვრულ ინტუიციასთან ერთად უდიდეს ერუდიციას საჭიროებს. რომანისტისათვის დრო და სივრცე მარტოოდენ ადამიანის წარმოდგენა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი დაუცხრომელი ნებელობისა და აქტივობის ობიექტიც. ორივე მიმართულებით უნდა გაფართოვდეს იგი, რადგან კულტურა არ არსებობს დროისა და სივრცის სრული მომცველობის გარეშე.

* * *

რომანის გმირი პიმრშოა მწერლისა, რომელიც წვალებით შვა, აკვანი ურწია, ნანა უგალობა, ღამეები თეთრად უთია, მისთვის ყველანაირი სიამოვნება მოიკლო. ჩვეულებრივი პირმშოსაგან განსხვავებით მან შვა იგი არა მარტო ხორციელად, არამედ თავისი სულის ნაწილიც ჩასდო მასში.

* * *

ვაჟკაცობა უხეში ძალა როდია, არამედ თუნდაც უფაქიზესი

არსების იმგვარი მოქმედება, საკუთარი სიცოცხლის ფასად რომ ლამობს ქვეყნად მშვენიერებისა და სათნოების დამკვიდრებას.

* * *

ინდივიდუალური, პირადი ბედისწერა, რომელიც მჭიდროდ ენასკვება სხვათა ბედისწერას, ბედისწერაა, რომელსაც ვერსად გაექცევი, ბედისწერა – ერთდროულად მტერიც და მეგობარიც, დედამიწის შექმნიდან ჩვენს მიერ მიღებული სამუდამო ტვირთი, მუდმივი პარტნიორი, რომელიც გვიწვევს თავისთან ბრძოლაში, გაშინებს გარდუვალობით, იდუმალებით, მოულოდნელი სიურპრიზებით, ყოველ ნაბიჯზე დადგმული მახეებით და ბადეებით, რომლებშიაც ჩვენი დაცემისა და დამარცხების მიზეზებია, მაგრამ ამავე დროს თავისთან ბრძოლაში ბედისწერა გვაძლიერებს და გვამტკიცებს, შეგვძენს გამოცდილებას, გამძლეობას, მოთმინებას და სიბრძნეს, გვასწავლის ობიექტურობას, სამართლიანობას, გვაჩვევს თვითანალიზს და თვითკრიტიკას, გვასწავლის საკუთარი ბედისწერის სხვათა ბედისწერასთან ჰარმონიაში მოყვანას, გვეხმარება სიხარულის და მწუხარების, კეთილისა და ბოროტის შემეცნების თასის ბოლომდე შესმაში. თანდათანობით გვასწავლის სიკეთეს, ყველანაირი მტრობის მიზეზების, ყველანაირი ცოდვის არსის შემეცნებას.

* * *

საკუთარ თავზე ბევრი იმუშავე, სრულჰყავი იგი ზნეობრივად, გონებრივად. საკუთარი ცოდნით ნუ გაყოყოჩდები, ნუ დასცინებ და ზემოდან ნუ დაუწყებ ცქერას შენზე დაბლა მდგომებს, არაფრით არ აგრძნობინო შენი უპირატესობა. გარშემო მყოფებში დადებითი თვისებები ეძიე, ვიდრე უარყოფითი. ნურავისზე ბოღმას გულში ნუ ჩაიდებ. გიხაროდეს, რაც უფრო მეტ ადამიანს შეხვდები ცხოვრებაში შენზე უფრო ღირსეულს,

რადგან იმათგან მოდის სტიმული შენივე და სხვათა წინსვლისა. გამოიმუშავე შენში ხასიათის სტაბილურობა: ცოცხალი, ნათელი, მხიარული – სერიოზულობის ნიშნით აღბეჭდილი, მრავალგზის ნაწრთობი ფოლადივით[1].

* * *

შენი რეალური ხატება თითქმის მთლიანად მოერგო შენს წინა ხატს ჩემს წარმოდგენაში და მაინც, გიმზერდი როგორც გამოცანას. მწადდა დამენახა შენი არსება მთლიანობაში, შენი სული და ბუნება ახლანდელიც და სამერმისოც. ასე მეწადა, რადგან მსურს რომ იყო ყველაზე კეთილი, ყველაზე სათნო, პირდაპირი და სიმართლისმოყვარე, უშიშარი და გონიერი, უზენაესი მშვენიერებით გარემოსილი, რადგან მხოლოდ ის სილამაზეა ჭეშმარიტი, რომლის წიაღიდან ასხივებენ სიკეთე, სიწრფოება და უმანკოება[2].

* * *

ჩემი ნურაფრის გედარდებათ. ისე ვარ როგორც სტამბოლის კაჟი. ჩემი თვითშემეცნების ზღვა ჯერ თუ არ გადამიცურავს, შუაგულს მაინც ხომ მივაღწიე. შუაგულში კი ზღვა ამღვრეული ვის უნახავს! ამიტომაც განწყობა სტაბილურია. განწყობა ხასიათის და სულის სიმტკიცეზეა დამოკიდებული, ისე ვით ჯანმრთელობა განწყობისა და ხასიათის სტაბილურობაზე. მე ასე მგონია და ასე ვფიქრობ, ამიტომ ჩემზე ნუ იდარდებთ, მეთქი, კიდევ გეუბნებით.

ჯანმრთელობას თქვენ უნდა მოუაროთ და სულიერი სიმტკიცეც გმართებთ არანაკლებ, თავად ჯანმრთელობისათვის ნებისმიერ აგარაკზე უტყუარი წყარო და გასაღები.

---

1 ირაკლისადმი (ვაჟიშვილისადმი) მიწერილი ბარათიდან. – (რედ.).
2 თამთასადმი (ქალიშვილისადმი) მიწერილი ბარათიდან. – (რედ.).

* * *

ყველაზე მეტად შენ და შენი ჯანმრთელობა მადარდებთ... ჩემზე ნუ იდარდებ, ყველაზე ნაკლებ გასაჭირში მე ვიმყოფები. ჩემთვის ციხე გართობაა და ცხოვრების შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. წელიწადის ეტლი ორგზის შემობრუნებასაც ვერ მოასწრებს, რომ ჩვენი ხანგრძლივი ხილვის შესაძლებლობა მოგვეცემა ჩემი გასახლების ადგილზე. ნუ გეშინია. დრო სადოღე ბედაურივით გაირბენს თავის სარბიელს. ვეცდები მჭიდროდ ავეკრა უნაგირს მისას და მტკიცედ ვიპყრა ხელთ მისი სადავეები, რათა არ მიმუხთლოს და ფლოქვებქვეშ არ მომიყოლოს მის მარულაში ჩაბმული იმედის კარიბჭეთა მაძიებელი. კარს ნუ გაუღებ ამაო დარდებს. ერიდე მაგ ვერაგსა და არამკითხე სტუმარს, ვინძლო გული ჟანგივით არ ამოგიჭამოს. დაე, უმეტესად სიხარული მკვიდრდებოდეს შენში. ან კი, ბედის სამდურავი რა გჭირს. იცოდე, შენი გაზრდილი აროდეს შეგარცხვენს. თავად ასე მსურს, ხოლო განგებამ უკეთ უწყის. ...ჭეშმარიტად დიდათა ვარ შენგან დავალებული. ამჟამად უფრო თვალნათლივ ვხედავ, პატიმარყოფილი მამისადმი შენახულმა ნამუსმა, შენმიერმა აღზრდამ და ჩემდამი მზრუნველობამ სიკეთის რა ძვირფასი ნერგი აღმოაცენეს ჩემში. ხოლო ბოლო ჟამს, შენი გამბედაობით თითქმის აღმოჩენად, ჭეშმარიტად ახალ ადამიანად წარმომიჩნდი. ვის შეუძლია იამაყოს საკუთარი დედით, თუ არა მე... ქვეყანაზე მარტოოდენ დედა და მამაა ერთად-ერთი, დანარჩენების რიცხვი მრავლობითს სცილდება[1].

* * *

სხვა ყველაფერი ძველებურადაა, ღრუბლიანი მოკლე დღეები, თეთრი გარინდება, მიყინული მიწა მეტრონახევარი თოვლით, სამუშაო, წიგნები და ა. შ. ნირშეუცვლელს და თანმიმდევ-

1 დედისადმი მიწერილი ბარათიდან. – (რედ.).

რულ დროს ფეხებზედაც ჰკიდია თუკი ვინმეს ეჩქარება. ამგვარ პედანტობაში გამოსჭვივის მისი სიბრძნე. შენ თუ გეჩქარება შვილოსა, ეგებ სხვას, პირიქით, სურს კიდევ უფრო შევანელო ჩემი მსვლელობა, მაგალითად, კაცს ვალის გადახდის ყავლი რომ გაუდის, განწირულ ავადმყოფს და ა. შ. შენ თუკი ძალგიძს, – გეუბნება იგი, – გამასწარი და მომავალში თუგინდ კისრისტეხით გადაიჭერი, იქ კენტად დადექი და აწმყოს პანჩურისათვის მომავლის ტაში მოიხვეჭე. ჩემი სავალი და მსვლელობის ავანჩავანი კი მევე დამანებეო.

სწორია! ვერც სამყაროს ღვთაებრივი კანონებით, ვერც სისხლის სამართლის სამოქალაქო კოდექსით, ვერც შინაურ-ძმაკაცურ საუბარში განაჩენს ვერ გამოუტან, ვერ გაკენწლავ, კბილს ვერ დაასობ. ამიტომ მოთმინების დიდი მასწავლებელი და ჭირთამთმენის მოქლონია დრო, მოუთმენელთა და მედროვეთა მიწისპირითგან წარმხვეტი, შენ კი სიმტკიცეს და უტეხელობას გპირდება, თუ ამ მოქლონს როგორმე გასაღებს მოარგებ, ქმედებით, სიბრძნით, იუმორითაც გაჯილდოებს და, რაც მთავარია, – თავისუფლების და გარდუვალობის იმპულსთა შეწონასწორების, ქმნა-არქმნის სიკეთის ფოკუსში მოქცევის უნარით.

* * *

მხოლოდ სატანჯველის საცერით გაცრილი სულია თოვლივით სპეტაკი და წმინდა.

* * *

მხოლოდ დამშვიდებულ ადამიანს ძალუძს ნორმალური აზროვნება.

* * *

აზრი მტკიცე ყალიბში სვამს მეტყველებას. მოაზროვნის სა-

უბარი დინჯი და თავდაჭერილი ხდება, ჟესტიკულაცია – ზომიერი ან ძუნწი.

***

ადამიანმა უნდა იაზროვნოს ბინერებში, ხოლო ისაუბროს და იმოქმედოს ტერნერში.

** *

დიდ მდინარეთა მღვრიე ტალღები როდი ავიწყებენ ადამიანებს სათავეებთან ანკარა წყაროების არსებობას.

***

თუ პირველმა უმოწყალობამ კაენისამ კაცთა შორის შვა სიკვდილი და წყვდიადი, ქრისტეს ყოვლისშემნდობმა გულმოწყალებამ დაამკვიდრა ნათელი და მარადიული ცხოვრების პერსპექტივა.

***

გოლგოთის მისტერია ეს არის სამყაროს ევოლუციის ყველაზე დრამატიული მომენტი, როდესაც ღმერთი ერთთავად კაცად იქცა. ამიტომ მარტვილობა ჯვარცმისა, ეს არის კაცის მარტვილობა. რადგანაც ღმერთმა უარი განაცხადა მაშინ თავის ღმერთობაზე და მთლიანად კაცებრივის წიაღს მისცა თავი, რამეთუ ბოლომდე შეიყვარა კაცნი. რადგანაც კაცურია მარტვილობა ქრისტესი, ამიტომ გოლგოთის მისტერიას მხოლოდ მაშინ შევიგრძნობთ სწორად, თუკი ყოველი ადამიანის სამართლიან ტანჯვას დედამიწაზე ამ მისტერიის დონეზე განვიცდით. ამით ჩვენ თავად ქრისტეს მივბაძავთ, რადგან ჩვენც შევეცდებით ისე განვიცადოთ მოყვასნი, როგორც ქრისტემ კაცნი განიცადა. ეს კი ნიშნავს გოლგოთის მისტერიის რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებას.

* * *

მხოლოდ მყარი ქრისტიანული მსოფლმხედველობა შეგვაძლებინებს დავუპირისპირდეთ ეროვნულ და ათეისტურ გახრწნას, რომელსაც დღესდღეობით უპირისპირდება მარტოოდენ ერთი დაწესებულება და ისიც სტიქიურად – ქართული ოჯახი. ამადაც ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი მის სულიერ სიჯანსაღეს, უნდა შევუქმნათ ყველაზე საიმედო იდეოლოგიური საყრდენი, ქრისტიანული რწმენა, უფრო სწორად, იგი კვლავ უნდა ავაღორძინოთ მასში. ჯანსაღი, მორალური ოჯახი ხომ ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი ძლიერების საწინდარია.

* * *

არცერთ ენაში არ არსებობს სიტყვა გენაცვალეს ექვივალენტი. ან გაგონილა სადმე ერთმა სიტყვამ დაიტიოს მთლიანად ქრისტიანობის, გოლგოთის მთელი მისტერიის დედააზრი.

* * *

ერთაშორის ქრისტიანული ჰარმონიის დამყარება ურთიერთდამოკიდებულებისას ჰგულისხმობს ადამიანისა და ეროვნებათა უფლებების სრულ უზრუნველყოფას მსოფლიოს სამართლიანობის საფუძველზე.

* * *

ჩვენი მეობის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით უნდა გაგვეთიშა მუსულმანური გარემოცვა, ჩაგვეკეტა კავკასიონის კარიბჭე და აღგვეკვეთა ანტიკულტურული იმპულრსების შემოჭრა სამხრეთიდან აღმოსავლეთ ევროპაში. ეს გახლდათ საქართველოს სამეფოს, ასე ვთქვათ, ფარული მისია, ძნელად აღსასრულებელი და საკუთარი კეთილდღეობისათვის

არასახარბიელო, მაგრამ მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი. ამ მისიას რომ წარმატებით გაართვა თავი ქართველმა ერმა, მხოლოდ ამისთვის შეიძლება ეწოდოს მას დიდი ერი და ეს ალბათ ასეცაა უფლის თვალში.

წყარო

1. ფიქრები საქართველოს მისიაზე.
2. ლექსები.
3. შეწყვეტილი ფიქრები.
4. შავლეგო.
5. თვითგამოცემები (ჟურნალები): „საქართველოს მოამბე“, „ოქროს საწმისი“, „საქართველო“, „მატიანე“.
6. პერიოდული გამოცემები: „ძელი ჭეშმარიტი“, „ცისკარი“, „მნათობი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ხელოვნება“.
7. ეკლესიის საკითხი.
8. გზა ჭეშმარიტებისა – გეორგიევსკის ტრაქტატი.
9. ტურიზმი და ძეგლები.
10. მოსახლეობის მიგრაციის საკითხი.
11. დაინგრეს თუ გარდაისახოს.
12. უსინდისობისა და ულოგიკობის ალიანსი.
13. ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ.
14. ბერლინის კედელი საქართველოში.
15. ჩვენს მკითხველს.
16. განხეთქილების სათავე.
17. რატომაა საჭირო ნაციონალური არმია.
18. მამულიშვილნო, დანო და ძმანო.
19. გამოღვიძების ეტაპი.
20. ლომისფერი.
21. გალაკტიონი.
22. მოციქულთა ნაკვალევზე.
23. ანდრეი სახაროვის წიგნი „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“.
24. სიტყვა წარმოთქმული 1989 წ. 23 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში.

25. ჰელსინკის ხელშეკრულების განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში.

26. ციხიდან გამოგზავნილი პირადი ბარათები.

27. დაუმთავრებელი ხელნაწერები.

28. ფიქრები ქართულ კულტურაზე.